საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვეული სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 31 მაისი. 2019 წ. №108 (8774) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

საქართველოს საერთო სირცხვილი!

1. როცა მარჯვენამ არ იცის, მარცხენა რას აკეთებს?!

ფოთის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის მშენებლობისთვის გაცემული დოკუმენტი გაუქმებულია!

საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ უარყო, რომ გაცემული იყო ფოთის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის ნებართვა. თურნავას განცხადებით, რეალურად საუბარია მიწათსარგებლობის წინასწარი პირობების დოკუმენტზე, რომელიც მთავრობასთან შეუთანხმებლად გაიცა ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის ბრძანებით.

ეკონომიკის მინისტრის ინფორმაციით, სააგენტოს ხელმძღვანელი გრიგოლ კაკაურიძე თანამდებობიდან გაათავისუფლა.

„პირველ რიგში, უნდა ვთქვა, რომ ეს დოკუმენტი, რომელიც გაიცა, არ წარმოადგენს სამშენებლო ნებართვას. ეს არის ე.წ. მიწათსარგებლობის წინასწარი პირობების დოკუმენტი, რომელიც გაიცა ერთ-ერთი ჩვენი სააგენტოს, კერძოდ, მშენებლობის და ტექნიკური ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის ბრძანებით ისე რომ, საკითხი არ ყოფილა შეთანხმებული არც ერთ მოქმედ მთავრობის წევრთან და არც ჩემთან პირადად. გარდა ამისა, როგორც გაირკვა, იქ არის პროცედურული დარღვევები, რითიც არის გაცემული ეს დოკუმენტი. აქედან გამომდინარე, დღეს მივიღეთ გადაწყვეტილება და გაუქმდა ეს დოკუმენტი, ასევე სააგენტოს ხელმძღვანელი გადაყენებულია დაკავებული თანამდებობიდან“, — განაცხადა ნათია თურნავამ.

რაც შეეხება ანაკლიის პორტს, ეკონომიკის მინისტრის თქმით, მთავრობამ არაერთხელ განაცხადა, რომ ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტია.

„ამ პროექტს გააჩნია უპრეცედენტო მხარდაჭერა ხელისუფლებისგან, დაწყებული 300 მილიონი ლარის ინფრასტრუქტურით, დასრულებული 70-მილიონიანი მიწის გამოსყიდვით და 100 მილიონი დოლარის დამატებითი დაფინანსებით. ასევე, სრული იურიდიული მხარდაჭერით. ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ, მათ შორის საერთაშორისო ბანკებთან და გვაქვს დიდი იმედი, რომ კერძო ინვესტორი, ანაკლიის განვითარების კონსორციუმი შეასრულებს აღებულ ვალდებულებებს ასეთი მხარდაჭერის ფონზე“, — განაცხადა ნათია თურნავამ.

ეკონომიკის მინისტრმა კონსორციუმს მოუწოდა, ნუ ეძებს სხვადასხვა მიზეზს და კონცენტრირდეს არსებული ვალდებულებების შესრულებაზე, რათა ანაკლიის უმნიშვნელოვანესი პროექტის განხორციელება და მშენებლობა დროულად დაიწყოს.

29 მაისს საღამოს, კომპანია „ეიპიემ ტერმინალი ფოთმა“ გაავრცელა ინფორმაცია, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი გავითარების სამინისტროსგან მიიღო ფოთში ღრმაწყლოვანი ნავსადგურის მშენებლობის ნებართვა. ამას მოჰყვა „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ განცხადება, რომ ანაკლიის პორტის პროექტი შეჩერების საფრთხის წინაშე დადგა...

2. სინდისდაკარგული გიორგი ერმაკოვი, ბაგრატ მანველიძე და სხვები!..

აჭარის პროკურატურამ ბათუმის ყოფილი მერი და აჭარის სხვა კორუმპირებული „შანტრაპა“ დააკავა

აჭარის პროკურატურამ რამდენიმე მოქმედი და ყოფილი მაღალჩინოსანი დააკავა, რომელთა შორის არიან ბათუმის ყოფილი მერი გიორგი ერმაკოვი, განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ბაგრატ მანველიძე, აგრეთვე, ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის მოადგილე ა.ვ., ბათუმის ვიცე-მერი თ.პ. ბათუმის მერიის მუნიციპალური ქონებისა და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი ე.ლ., ბათუმის მერიის აიპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს“ უფროსის მოადგილე ვ.ხ., ბათუმის მერიის შესყიდვების განყოფილების უფროსი ბ.ხ.

როგორც პროკურატურაში გუშინ გამართულ ბრიფინგზე ითქვა, დაკავება სასამართლოს განჩინების საფუძველზე განხორციელდა, მათ ბრალი ედებათ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დიდი ოდენობით სახელმწიფოს კუთვნილი ფულადი თანხის მართლსაწინააღმდეგო გაფლანგვის და სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაში.

„ჩატარებული გამოძიებით დადგინდა შემდეგი: ზემოხსენებული პირების გადაწყვეტილებით, რომლებიც იმჟამად იყვნენ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუდმივმოქმედი სატენდერო კომისიის წევრები და ბათუმის მერიაში ეკავათ სხვადასხვა თანამდებობა, 2015 წლის 09 ოქტომბერს, ქ.ბათუმის მერიამ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი ქ.ბათუმში საცხოვრებელი ბინების ე.წ. „იაფი სახლის“ მშენებლობაზე.

იხ. 2 გვ.

3. ბარსელონაში ქართველი თავშესაფრის მაძიებლები

8

შენობიდან გამოასახლეს

აკადემიკოსი ვაჟა ლორთქიფანიძე:

დემოგრაფია, არსებითად, ერთი მეცნიერება

4

კი არა,

5

დისციპლინათა მთელი სისტემაა

ანუ მარშით და აქციებით დავითგარეჯის პრობლემა არ მოგვარდება!

რა ელის მწვანე ბარათს?

8

ტრამპი ლეგალური იმიგრაციის გამკაცრებას ითხოვს

რაიმუნდას კარაბლისი: თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში საქართველო ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია

ლიეტუვა აგრძელებს საქართველოს მხარდაჭერას ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე, — ამის შესახებ ლიეტუვის თავდაცვის მინისტრმა რაიმუნდას კარაბლისმა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან ირაკლი კობახიძესთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

„ლიეტუვა აქტიურადაა ჩართული ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ცენტრის მუშაობასა და ნატოს სტანდარტების შესაბამისად ქართული შეიარაღებული ძალების გაწვრთნაში. ჩვენ წარმოდგენილები ვართ საქართველოში ნატოს ოფისში. ლიეტუვის სამხედრო სკოლების, ოფიცრების მოსამზადებელი სამხედრო აკადემიის, ბალტიისპირეთის თავდაცვის სკოლის კარი ღიაა ქართველი სამხედროებისთვის და სამოქალაქო პირებისთვის. ასე გაგრძელდება მომავალშიც.

ვმონაწილეობთ ერთობლივ წვრთნებში, ქართველი სამხედროები მონაწილეობენ ლიეტუვაში გამართულ წვრთნებში. ლიეტუვაში ივნისში დაგეგმილია ინტენსიური სწავლებები და მოხარულები ვართ, ვუმასპინძლოთ ქართველ სამხედროებს. აქტიურად ვთანამშრომლობთ კიბერუსაფრთხოების სფეროში. რამდენიმე თვის წინ საქართველოს თავდაცვის მინისტრის ლიეტუვაში ვიზიტის დროს, ქართველ კოლეგასთან ერთად ხელი მოვაწერე დეკლარაციას კიბერუსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის შესახებ. განვახორციელებთ კიბერუსაფრთხოების სფეროშიც ერთობლივ სწავლებებს. ჩვენ ასევე ვეღოდებით საქართველოს მონაწილეობას ევროკავშირის მიერ დაგეგმილ სწავლებებში კიბერუსაფრთხოებისა და თავდაცვის პროექტებში. ერთ-ერთ ასეთ პროექტს ლიეტუვა ხელმძღვანელობს. ჩვენი აქტიური თანამშრომლობის არაერთი მაგალითი არსებობს. ვაღრმავებთ ორმხრივ ურთიერთობებსაც“, — განაცხადა ლიეტუვის თავდაცვის მინისტრმა.

ნატო-საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივი ცენტრის დაარსებიდან სამი წელი შესრულდა

ნატო-საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივი ცენტრი (JTEC) დაარსებიდან მესამე წლისთავს აღნიშნავს. ცენტრის დაარსებისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებას საქართველოს თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია დაესწრო და პირად შემადგენლობას სიტყვით მიმართა. ლევან იზორიამ ყურადღება საქართველოს ნატოსთან ინტეგრაციის გზაზე ცენტრის უდიდეს როლზე გაამახვილა, მის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის როგორც ქართულ მხარეს, ასევე საერთაშორისო პარტნიორებს მადლობა გადაუხადა და JTEC-ის გაფართოების მნიშვნელობაზე ისაუბრა.

მინისტრის განცხადებით, ნატო-საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივი ცენტრის (JTEC) მეტად განვითარება იმ სტრატეგიული მიზნის მიღწევაში ეხმარება, რასაც საქართველოს ნატოში გაწევრიანება ჰქვია. ლევან იზორიამ 2019 წელს ჩატარებული ერთობლივი წვრთნების მნიშვნელობაც ხაზგასმით აღნიშნა, რომელსაც JTEC-მა წელს უმასპინძლა და სწავლების დაგეგმვისა და აღსრულების ფაზის განხორციელებაც ქართული მხარის ორგანიზებით მოხდა. 2022 წელს ერთობლივი სწავლების ჩატარება კვლავ იგეგმება, რომელიც ახალ ფორმატში განხორციელდება და ახალი ელემენტებით იქნება დატვირთული.

მიხეილ სააკაშვილის საექსტრადიციო პროცედურები გრძელდება

საქართველოს პროკურატურა აგრძელებს მიხეილ სააკაშვილის საექსტრადიციო **პროცედურებს** — ამის შესახებ განცხადება საგამოძიებო უწყებაში გაკეთდა. კოკა კაციტაძის თქმით, საქართველოს მესამე პრეზიდენტის საექსტრადიციო პროცედურები ისევ გრძელდება.

პროკურატურაში ამბობენ, რომ მიხეილ სააკაშვილისთვის მოქალაქეობის აღდგენის საკითხი მის მიმართ დაწყებულ სამართლებრივ დევნაზე გავლენას ვერ მოახდენს.

„საქართველოს პროკურატურას მიხეილ სააკაშვილის საექსტრადიციო პროცედურები დაწყებული აქვს, ეს სამართლებრივი პროცედურები გრძელდება და არ შეწყვეტილა. რაც შეეხება მისი მოქალაქეობის საკითხს, მოქალაქეობის დაკარგვა ან აღდგენა ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენს მის მიმართ დაწყებულ სისხლის სამართლებრივ დევნასა და საექსტრადიციო პროცედურებზე. მიხეილ სააკაშვილი გასამართლებულია ქართული სასამართლოს მიერ. მას მოუწევს ქართული მართლმსაჯულების წინაშე წარდგენა და პასუხისმგებლობის დაკისრება იმ დანაშაულებისთვის, რომლისთვისაც უკვე არის გასამართლებული. კერძოდ, იგი მსჯავრდებული სანდრო გირგვლიანის საქმეზე, პარლამენტის წევრ ვალერი გელაშვილის ცემის საქმეზე, ხოლო ბრალდებულია და სასამართლო განხილვები მიმდინარეობს სახელმწიფო სახსრების გაფლანგვის საქმეზე და 7 ნოემბრისა და ტელეიმედის დარბევის საქმეებზე,“ — აღნიშნა კოკა კაციტაძემ.

გადაწყვეტილება სააკაშვილისთვის უკრაინის მოქალაქეობის აღდგენის შესახებ უკრაინის ახალარჩეულმა პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ მიიღო, რომელმაც პეტრო პოროშენკოს 2017 წლის განკარგულება გააუქმა.

პარლამენტში დეპუტატები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ

კამათი იყო საკანონმდებლო ორგანოში. **სიტყვიერი შელაპარაკება დაიწყო დამოუკიდებელ დეპუტატ ლევან გოგიჩაიშვილსა და უმრავლესობის დეპუტატ მიხეილ ყაველაშვილს შორის. მოგვიანებით კი კამათში ჩაერთო „ქართული ოცნების“ დეპუტატი მუხრან ვახტანგაძე.**

დეპუტატები მანდატურებმა დეპუტატის ოთახში გაიყვანეს. დაპირისპირება ოთახშიც გაგრძელდა, თუმცა იქ შესვლის საშუალება ჟურნალისტებს არ მიეცათ. დაპირისპირების მიზეზი უცნობია, რადგან სხდომათა დარბაზში, სადაც დაპირისპირება მიმდინარეობდა, მიკროფონები გამორთული იყო.

სინდისდაკარგული გიორგი ერმაკოვი, ბაგრატ მანველიძე და სხვები!..

(პირველი გვერდიდან)

სატენდერო პირობების თანახმად, შენობა-ნაგებობის ასაშენებლად უნდა გამოყენებულიყო მსუბუქი ფოლადის თხელკედლიანი კონსტრუქციები. ტენდერის გამოცხადებამდე, ბათუმის მერიის ხელმძღვანელობისათვის და სატენდერო კომისიის წევრებისათვის ცნობილი იყო, რომ მსუბუქი ფოლადის თხელკედლიანი კონსტრუქციებით საქართველოში მშენებლობის გამოცდილება მხოლოდ ერთ-ერთ კომპანიას ჰქონდა, რომელსაც ტენდერის გამოცხადებამდე ქ.ბათუმის მერიის ხელმძღვანელმა პირებმა შესთავაზეს აღნიშნული კონსტრუქციებით მშენებლობის პროექტის განხორციელება.

საბოლოოდ, ბათუმის მერიამ ტენდერი გამოაცხადა სწორედ ზემოხსენებული კომპანიის მიერ უსასყიდლოდ შედგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის საფუძველზე, ისე რომ დოკუმენტაციაში დაფიქსირებულ ფასებზე ბაზრის კვლევა არ ჩაუტარებია. ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა, უცხოური საწარმოს ფილიალმა „კონვენტჯორჯიამ“. ელექტრონული ვაჭრობის მიმდინარეობისას, უცხოური საწარმოს ფილიალი „კონვენტჯორჯიას“ მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში წარდგენილი იქნა ყალბი დოკუმენტაცია. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუდმივმოქმედი სატენდერო კომისიის წევრებს წარმოდგენილ საეჭვო დოკუმენტაციაზე საერთოდ არ უმსჯელიათ, ეს მაშინ, როდესაც ქ.ბათუმის მერიის მიერ, 2015 წლის 01 მაისს გამოცხადებულ სხვა ელექტრონულ ტენდერში, უცხოური საწარმოს ფილიალის „კონვენტჯორჯიას“ მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში წარდგენილი იგივე დოკუმენტაცია კომისიის ამავე შემადგენლობის მიერ გახდა „კონვენტჯორჯიას“ დისკვალიფიკაციის ერთ-ერთი საფუძველი.

ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუდმივმოქმედი სატენდერო კომისიის წევრებმა, იმ პერიოდისათვის ბათუმის ვიცე-მერმა ბ.მ-მ, ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსმა თ.პ-მ, ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოადგილემ ვ.ხ-მ, ბათუმის მერიის საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის უფროსმა ე.ლ-მ და ბათუმის მერიის შესყიდვების განყოფილების უფროსმა ბ.ხ-მ, მიუხედავად იმისა რომ ტენდერში მონაწილეობისას „კონვენტ ჯორჯიას“ წარდგენილი დოკუმენტაცია არ აკმაყოფილებდა სატენდერო პირობებს და არსებობდა კომპანიის უპირობო დისკვალიფიკაციის საფუძვლები, უკანონოდ მიანიჭეს უპირატესობა პრეტენდენტს და გამოაცხადეს ტენდერში გამარჯვებულად.

ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადების შემდეგ, „კონვენტ ჯორჯიამ“ სატენდერო კომისიას წარუდგინა საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი საბანკო დაწესებულების მიერ ავიზირებული, დიდ ბრიტანეთში, ლონდონში რეგისტრირებული POINT BANK LTD მიერ გაცემული ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, ისე რომ ხსენებული კომპანია საერთოდ არ იყო საბანკო დაწესებულება და წარმოადგენდა არააქტიურ კომპანიას. ბათუმის მერის გ.ე-ს დავალებით, დიდი ბრიტანეთში რეგისტრირებული POINT BANK LTD-ის სანდოობის, გადახდისუნარიანობის და რეიტინგის შესწავლა დაევალა მერიის საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის უფროსის მოადგილეს ა.ვ-ს, რომლის მიერაც მოპოვებული ინფორმაციებით დადგინდა, რომ დასახელებულ კომპანიას საერთოდ არ ჰქონდა რეიტინგი, რაც პირდაპირ მიუთითებდა მის არასაიმედოობაზე. ამავე პერიოდში ბათუმის მერიაში უკვე გაგზავნილი იყო საქართველოს ეროვნული ბანკის სარეკომენდაციო წერილი იმის თაობაზე, რომ საბანკო გარანტიები მოთხოვნილი ყოფილიყო მხოლოდ — მაღალი სანდოობის საერთაშორისო ან ქართული კომერციული ბანკებიდან. ყოველივე ზემოხსენებულის წინააღმდეგ, ნაცვლად იმისა, ქ.ბათუმის მერს და სატენდერო კომისიის წევრებს დაეცვათ სახელმწიფოს კანონიერი ინტერესი, შეეწყვიტათ ტენდერი და არ გაეფორმებინათ სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება „კონვენტჯორჯიასთან“, საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ გააფორმეს სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება 4 279 990 ლარის ოდენობით.

ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, კი „კონვენტ ჯორჯიამ“ ბათუმის მერიაში წარადგინა ისევ არასაბანკო, არააქტიური, ფიქტიური კომპანია POINT BANK LTD-ს მიერ გაცემული საავანსო საბანკო გარანტია. იმის მიუხედავად, რომ ბათუმის მერის, საფინანსო სამსაურის უფროსი ე.ლ-სთვის და საფინანსო სამსახურის უფროსის მოადგილე ა.ვ-სათის ცნობილი იყო POINT BANK LTD-ის არასანდოობა და ის ფაქტი, რომ გარანტიის გამცემი კომპანია არ წარმოადგენდა საბანკო დაწესებულებას, ამასთან წარმოდგენილი საბაკო გარანტიაც არ იყო უპირობო და გამოუთხოვადი, „კონვენტჯორჯიას“ მაინც უსაფუძვლოდ ჩაურიცხეს საავანსო თანხა ჯამში 1 626 396,20 ლარის ოდენობით, საიდანაც „კონვენტ ჯორჯიამ“ შეასრულა მინიმალური, მხოლოდ 251 109,43 ლარის სამუშაოები, ხოლო დანარჩენი თანხის სამუშაოები დღემდე შეუსრულებელია.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ბათუმის მერიის ხელმძღვანელი და სხვადასხვა რგოლის თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებამ, რაც გამოიხატა „კონვენტჯორჯიასათვის“ უპირატესობის უკანონოდ მინიჭებაში და საავანსო თანხის უსაფუძვლოდ ჩარიცხვაში, არსებითად დაარღვია სახელმწიფოს კანონიერი ინტერესები და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მოწოდებული დასკვნის თანახმად, გაიფლანგა დიდი ოდენობით (1 370 076,00 ლარი) თანხა, რითაც მუნიციპალიტეტს მიადგა დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი. საქმესთან დაკავშირებული საჯარო ინტერესის გათვალისწინებით, საქართველოს პროკურატურა საზოგადოებას პერიოდულად მიაწვდის გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციას“.

კახეთში არის ის პოტენციალი, რომელიც საშუალებას მოგვცემს, აქ მცხოვრებმა თითოეულმა ადამიანმა იგრძნოს ეკონომიკური წინსვლა

კახეთში არის ის პოტენციალი, რომელიც საშუალებას მოგვცემს, რომ აქ მცხოვრებმა თითოეულმა ადამიანმა იგრძნოს ეკონომიკური წინსვლა, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ ფორუმზე – **„საერთაშორისო საინვესტიციო ფორუმი – კახეთი 2019“** – სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, არასწორმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ გარკვეული პრობლემებით სავსე ეკონომიკური სტრუქტურა დატოვა მემკვიდრეობით, რასაც სჭირდება მიზანმიმართული პოლიტიკა, იმისათვის, რომ ქართული ეკონომიკა უფრო კონკურენტუნარიანი გახდეს.

„ჩვენ განსაკუთრებულ აქცენტს ვაკეთებთ რეგიონულ განვითარებაზე. გვწამს, რომ ძლიერი რეგიონები ნიშნავს ძლიერ საქართველოს. ჩვენს ეკონომიკურ პოლიტიკაში განსაკუთრებულ პრიორიტეტს ვანიჭებთ ინკლუზიურ ზრდას, ისეთი ტიპის ზრდას, რომელიც თითოეულ საქართველოს მოქალაქეს შეეხება. სამწუხაროდ, წლების განმავლობაში ჩატარებულმა არასწორმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ ჩვენ გარკვეული პრობლემებით სავსე ეკონომიკური სტრუქტურა დაგვიტოვა მემკვიდრეობაში და ბუნებრივია, ამას სჭირდება მიზანმიმართული პოლიტიკა, რომ ეს შევცვალოთ და ქართული ეკონომიკა გავხადოთ უფრო კონკურენტუნარიანი, უფრო ინკლუზიური და ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, რეგიონულ განვითარებას განსაკუთრებული როლი ენიჭება. კახეთის რეგიონისთვის მნიშვნელოვანი იყო 2018 წელი, ვინაიდან, სწორედ 2018 წელს ჩატარებული რთველი იყო ყველაზე წარმატებული დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში. ეს ნიშნავს იმას, რომ ბოლო წლებში გადადგმულმა ნაბიჯებმა კონკრეტული შედეგი მოგვცა, თუმცა ჩვენ შორს ვართ სასურველი ნიშნულიდან. ჩვენი შეფასებით, მხოლოდ კახეთის რეგიონი რომ ავიღოთ, ეკონომიკური პოტენციალის 25 პროცენტია გამოყენებული. ეს ნიშნავს, რომ ამ უსამაზეს კუთხეში გვაქვს ეკონომიკის განვითარების ძალიან დიდი რესურსი და რაც მთავარია – ინკლუზიური განვითარების რესურსი“, – განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

პრემიერ-მინისტრის თქმით, მნიშვნელოვანია, რომ ფორუმში მონაწილეობენ უცხოელი ბიზნესმენები, რომელთაც აქვთ სურვილი, საქართველოში ინვესტიციები განახორციელონ. მთავრობის მეთაურის თქმით, მსგავსი ფორმატები უცხოელი ინვესტორებისათვის საქართველოს ეკონომიკური პოტენციალის უკეთ გაცნობას უზრუნველყოფს. როგორც პრემიერმა აღნიშნა, ამგვარი ფორუმები საქართველოს ყველა რეგიონში ჩატარდება.

„კახეთი არის საქართველოს ულამაზესი კუთხე, თავისი დიდი ისტორიით, ტრადიციით, ის არის მეღვინეობის აკვანი და მას დიდი წვლილი აქვს შეტანილი ჩვენს კულტურაში. კახეთში მეღვინეობა ძალიან აქტიურად ვითარდება, თუმცა ჩვენ ვფიქრობთ, რომ განვითარების კიდევ უფრო მნიშვნელოვანი პოტენციალი გვაქვს“.

კახეთის რეგიონს აქვს დიდი პოტენციალი სხვადასხვა მცენარეული კულტურების განვითარების მიმართულებით.

„მნიშვნელოვანია, რომ კახეთში ბოლო წლების განმავლობაში კაკლოვანი კულტურების პოპულარიზაცია მოხდა. კაკლოვანი კულტურების განვითარება აქტუალურია როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოსთვის. კახეთში ამ კუთხით მნიშვნელოვანი ინვესტიციები განხორციელდა, რაც ერთმნიშვნელოვნად მისასალმებელია. ჩვენ გვაქვს ისეთი ტიპის კულტურები, რომელიც შეიძლება ვიღაცას ეგზოტიკად მოეჩვენოს, მაგრამ გარწმუნებთ, კახეთის რეგიონს აქვს უზარმაზარი პოტენციალი და ამის მაგალითია ზეთისხილის გაშენება, რომელიც ძალიან მზარდი პროდუქტია მსოფლიო ბაზარზე და საქართველოს აქვს შესაძლებლობა, ამ მიმართულებითაც დაიმკვიდროს ადგილი მსოფლიო ბაზარზე“, – განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

პრემიერ-მინისტრის თქმით, კახეთი ხდება ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტურისტული თვალსაზრისითაც და მნიშვნელოვანია, რომ ეს მიმართულება კიდევ უფრო გააქტიურდეს.

კახეთში მიმდინარეობს მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტების ცენტრების რეაბილიტაცია, რომელიც 2020 წლის ზაფხულამდე დასრულდება.

„საერთაშორისო საინვესტიციო ფორუმი – კახეთი 2019“ წინანდალში გაიმართა. ფორუმში საქართველოს მთავრობის წევრები, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და მაღალი რანგის უცხოელი ინვესტორები მონაწილეობდნენ. ფორუმის მთავარ მიზანს წარმოადგენს სამომავლო, საინვესტიციო პერსპექტივების განხილვა და მეტი ინვესტიციის მოზიდვა კახეთის რეგიონისთვის.

რა სიახლეებით ხვდება სიღნაღი ზაფხულის ტურისტულ სეზონს

სიღნაღში 12 წლის წინათ დაწყებულმა „სიყვარულის ქალაქის“ პროექტმა, სასტუმრო ბიზნესს იმედები ჯეროვნად ვერ გაუმართლა. დღეს „კომერსანტთან“ კერძო სექტორის წარმომადგენლები იმ პრობლემებზე საუბრობენ, რომელიც ისევ აწუხებთ და რომლის მოგვარებაც სიღნაღით დაინტერესებულ ტურისტთა რიცხვს კიდევ უფრო გაზრდის.

თავის დროზე მიხეილ სააკაშვილი აცხადებდა, რომ სიღნაღი საქართველოს ტურისტული ინდუსტრიის ერთ-ერთი წამყვანი ცენტრი გახდებოდა. ამ განცხადებიდან 12 წლის განმავლობაში, ქალაქის სასტუმროები მუდმივად ჩივიან, რომ ტურისტების რაოდენობა წლიდან წლამდე არ მცირდება, თუმცა, არც ზრდა შეინიშნება. ამის მიზეზად ქალაქის ინფრასტრუქტურული პრობლემები სახელდება.

საოჯახო სასტუმრო „სამი გრაციას“ დამფუძნებელი თეა ყარაგოზიშვილი განმარტავს, რომ სიღნაღში ზაფხულის საკურორტო სეზონი უკვე დაიწყო. დამსვენებლების უმეტესი ნაწილი კი უცხოელია, მათ შორის რუსეთიდან, უკრაინიდან, გერმანიიდან, იტალიიდან, ჰოლანდიიდან. რაც შეეხება ქართველებს, ისინი სიღნაღის დასათვალიერებლად უფრო შაბათ-კვირას ირჩევენ ხოლმე.

ყარაგოზიშვილი აცხადებს, რომ წელს სიღნაღში იმაზე კარგი სიტუაციაა, ვიდრე გასულ წლებში. კერძოდ, მეტ-ნაკლებად მოგვარებულია სასმელი წყლის პრობლემა, კეთილმოეწყო გზებიც, რომელიც ტურისტებისთვის საკმაოდ არაკომფორტული იყო.

„წყლის პრობლემა მე მაგალითად, ადგილზე მაქვს მოგვარებული, მაქვს წყლის რეზერვუარები, რათა ტურისტებს პრობლემა არ შეექმნათ. ისე, ქალაქში წყალი თითქმის სულ მოდის, შესაძლოა, შუა დღეს დაწყდეს რამდენიმე საათით. თუმცა, ამას ჩემი სტუმრები ვერ გრძნობენ,“ – აღნიშნავს ყარაგოზიშვილი.

სასტუმრო „სამი გრაციას“ დამფუძნებელი იმ პრობლემაზეც საუბრობს, რომლის მოგვარებაც სიღნაღს ტურისტულ ცენტრად აქცევდა. საუბარია, შემეცნებითი-გასართობ ობიექტებზე, რომლის სიმცირეც ქალაქში ტურისტების მოკლევადიან სტუმრობას იწვევს.

„გიდები, რომლებსაც თბილისიდან მოჰყავთ ტურისტები, აცხადებენ, რომ სიღნაღი რადგან პატარა ქალაქია, ინფრასტრუქტურა ისეთი არ არის, ერთსაათიანი დათვალიერება სრულიად საკმარისია. შედეგად, ამ ტურებით ჩამოსული დამსვენებელი საღამოს უკან ბრუნდება. ამის მიუხედავად, ქალაქით დაინტერესებული ტურისტების რიცხვი არ შემცირებულა, თუმცა, თუ ეს პრობლემა მოგვარდება, ვთვლი, რომ ტურისტების რაოდენობა ბევრად გაიზრდება“, – აცხადებს ყარაგოზიშვილი.

პრობლემის მოსაგვარებლად სასტუმრო „სამი გრაციას“ ხელმძღვანელმა საკუთარი არასამთავრობო ორგანიზაცია „თემი ქედელის“ ხელშეწყობით ისეთი ობიექტის გახსნაც დააანონსა, რომელიც სიღნაღში ჩასულ სტუმარს საღამომდე დაიკავებს და საშუალებას მისცემს, ქალაქში დარჩეს. საუბარია, არტ კაფესა და მუზეუმზე, სადაც ერთ სივრცეში შესაძლებელი იქნება დამსვენებელმა დაათვალიეროს სიღნაღის ისტორია.

საოჯახო სასტუმრო „ტყუპების“ დამფუძნებელი ანტონ მულრაშვილი აცხადებს, რომ სიღნაღში ტურისტული სეზონი დაიწყო და დამსვენებელიც საკმაოდ ბევრია. ახლა სასტუმროს დამსვენებელი არ ჰყავს, თუმცა, რამდენიმე დღეში სეზონი აქტიურ ფაზაში შევა და ტურისტებიც, სავარაუდოდ, უფრო მეტად გააქტიურდებიან. მისი თქმით, ვიზიტორების ძირითად ნაწილს რუსები და უკრაინელები წარმოადგენენ.

მულრაშვილის ინფორმაციით, მეტ-ნაკლებად მოგვარებულია წყლის სისტემა, თუმცა, ზოგიერთ უბანს წყალი მაინც გრაფიკით მიეწოდება. გადაჭრილია გზების პრობლემაც.

სიღნაღის მუნიციპალიტეტში განმარტავენ, რომ 2019 წლის 24 მაისის მდგომარეობით, ქალაქს 3149 შიდა და საერთაშორისო ვიზიტორი ესტუმრა. საყურადღებოა, რომ ეს არის იმ ტურისტების რაოდენობა, რომლებმაც ისარგებლეს უშუალოდ ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის მომსახურებით, შესაბამისად ქალაქში ჩამოსული სტუმრების რაოდენობა გაცილებით მეტია. სიღნაღის მუნიციპალიტეტში ჩამოსული ტურისტების რაოდენობა ზრდის ტენდენციით ხასიათდება (წინა წლებთან შედარებით გაზრდილია 20-30%-ით), 2019 წლის მიხედვით ქალაქს ძირითადად სტუმრობენ რუსეთიდან, პოლონეთიდან, გერმანიიდან და ამერიკიდან. ტურისტული სეზონი პიკს აღწევს სექტემბერ -ოქტომბერში.

რაც შეეხება ინფრასტრუქტურის მოწყობას, მუნიციპალიტეტში განმარტავენ, რომ 2018 წელს ქალაქის კეთილმოწყობისთვის მთელი რიგი პროექტები განხორციელდა.

„მოგეხსენებათ, რომ 2007 წლის შემდეგ ქალაქში რეაბილიტაცია აღარ განხორციელებულა. 2018 წელს ქალაქის რეაბილიტაცია განხორციელდა, რომელიც დაზიანებული ქვაფენილის, ფასადების და აივნების განახლებას ითვალისწინებდა. აღნიშნულ პროექტზე დაიხარჯა 100 000 ლარი.

ასევე, მოეწყო დენდროლოგიურ პარკთან მისასვლელი ბილიკი (257 844 ლარი), განახლდა ტურისტული რუკები(12 000 ლარი), რეაბილიტაცია ჩაუტარდა ქალაქში არსებულ საზოგადოებრივ სველ წერტილებს(6000 ლარი), განახლდა ტურისტული ბილიკი (3000 ლარი).

რაც შეეხება წყალმომარაგებას, წინა წელს გაზრდილი მოხმარების გამო, ზაფხულის პერიოდში მოსახლეობას წყალი გრაფიკით მიეწოდებოდა. ქალაქ სიღნაღს ემსახურება გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია, რომელიც 24-საათიანი სერვისით უზრუნველყოფს მოქალაქეებს,“ – აცხადებენ სიღნაღის მუნიციპალიტეტში.

მათივე ინფორმაციით, მიმდინარე წელს სიღნაღის ადგილობრივი თვითმმართველობის დაფინანსებით ახალი ჭაბურღილი მოეწყობა (77 041 ლარი) და წყლის რესურსი მოსახლეობას გაუნაწილდება. წინასწარი მონაცემებით, 2019 წელს, წყალმომარაგებაზე პრობლემა არ უნდა იყოს.

სოფო ქსოვრელი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ახალ წევრთა შორის, რომლებიც ასევე ქვეყნის სამეცნიერო ელიტის გამორჩეული მკვლევარები ბრძანდებიან, ასე ვთქვათ, მეცნიერების „ტრადიციული“ სფეროების – ფიზიკის, ენათმეცნიერების, მანქანათა მექანიკის, მედიცინის, სამთო-გეოლოგიური, სოფლის მეურნეობისა და სხვათა წარმომადგენლებს შორის, პირველად აკადემიის ისტორიაში სპეციალობით „დემოგრაფია“ არჩეულ იქნა პროფესორი ვაჟა ლორთქიფანიძე, რომელიც ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის სტუმარია.

აკადემიკოსი ვაჟა ლორთქიფანიძე:

დემოგრაფია, არსებითად, ერთი მეცნიერება კი არა, დისციპლინათა მთელი სისტემაა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კიბერნეტიკისა და გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, ბატონმა **ვაჟა ლორთქიფანიძემ** მშობლიური უმაღლესი სასწავლებლის ასპირანტურა დაამთავრა კონკრეტული სოციოლოგიის სპეციალობით, რომელსაც შემდგომ მოსკოვის საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიაში პოლიტოლოგისა და ისტორიკოსის განხრები მიამატა. ამდენად, ვიდრე შარშან საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსად აირჩევდნენ, მიღებულმა განათლებამ გარკვეულწილად ბატონი ვაჟა ლორთქიფანიძის მომავალი სამეცნიერო მოღვაწეობის მიმართულებაც განაპირობა: **1993 წელს მან ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი დემოგრაფიის სპეციალობით დაიცვა თემაზე „სამცხე-ჯავახეთის დემოგრაფიული განვითარების პრობლემები“, რომელიც 1998 წელს თემაზე „ისტორიული მესხეთის დემოგრაფიული პრობლემები“ სადოქტორო დისერტაციის დაცვით დააგვირგვინა. 2002 წელს კი მას დემოგრაფიის სპეციალობით პროფესორის სამეცნიერო-პედაგოგიური წოდება მიენიჭა.**

ეს რაც შეეხება აკადემიკოს ვაჟა ლორთქიფანიძის სამეცნიერო ხარისხების მოპოვებას, მაგრამ გაცილებით ვრცელია მისი შრომითი ბიოგრაფია: 1983-1998 წლებში მან არაერთ უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო-ადმინისტრაციულ თანამდებობაზე იმუშავა: იყო საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუსეთის ფედერაციაში (1995-1998 წ.წ.), საქართველოს პარლამენტის წევრი (1995-2004 წ.წ.), ასევე საქართველოს სახელმწიფო მინისტრი (პრემიერ-მინისტრი – 1999-2000 წ.წ.).

სახელმწიფო-ადმინისტრაციულ საქმიანობას პროფესორი ვაჟა ლორთქიფანიძე ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით და პედაგოგიურ მუშაობასაც წარმატებით უთავსებდა – 1998 წლიდან არის საქართველოს დემოგრაფთა ასოციაციის პრეზიდენტი, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ „დემოგრაფიის“ დამაარსებელი და გამომცემელი, საქართველოს სპეციალური ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის თავმჯდომარე, აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობათა საერთაშორისო ცენტრის (არასამთავრობო ორგანიზაციის) პრეზიდენტი, თსუ-ს სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოსა და რუსეთის საბუნებისმეტყველო, საქართველოს ეკონომიკურ და აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიების წევრი, საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოების ეროვნული კონცეფციის ერთ-ერთი ინიციატორი და ავტორი. მრავალ სხვა მიღწევასთან ერთად იგი 70-მდე სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის შვიდი მონოგრაფიისა და ხუთი წიგნის ავტორიც გახლავთ. აქედან ერთი, 2009 წელს ინგლისურ ენაზე ნიუ-იორკში გამოიცა. ამჟამად არის თსუ-ს სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი.

– ბატონო ვაჟა, საქართველოში დემოგრაფიულად აშკარად არასახარბიელო ვითარებაა. ეს ყველამ ვიცით, მაგრამ მაინც რა დატვირთვა აქვს დემოგრაფიას, როგორც ცალკე აღებულ მეცნიერებას?

– ზოგადად, დემოგრაფია – არა იმდენად ცალკე აღებული მხოლოდ ერთი მეცნიერებაა, არამედ მეცნიერებათა უკვე მთელი სისტემა თავისი კონკრეტული დარგებით. რეგიონების დონეზე დემოგრაფიის კვლევა მსოფლიოში გასული საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო, ამ სფეროში მუშაობას კი მე 1990-იან წლებში შევუდექი და შედეგად ორი დისერტაცია დავიცავი. ჩემი სადოქტორო დისერტაციის – „ისტორიული მესხეთის დემოგრაფიული პრობლემები“ – არეალი სამცხე-ჯავახეთი, აჭარა და ამჟამად თურქეთის ტერიტორიის ის ნაწილი, რომელიც ისტორიული მესხეთი გახლდათ და ეს უკანასკნელი მის ყველაზე საგულისხმო ნაწილად მიმაჩნია... თურქეთში ორი ექსპედიცია გვქონდა, რა დროსაც ამჟამად იქ მცხოვრები ქართველების რიცხოვნობა, მათი დემოგრაფიული ქცევა და სხვა სახეობის მონაცემები სოციოლოგიური გამოკითხვების მეთოდით შევისწავლეთ, ვინაიდან არც ქართველების, არც სხვა ეროვნული უმცირესობების შესახებ თურქეთის მხარეს რაიმე დემოგრაფიული მონაცემები არა აქვს. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ 1960-იან წლებში ქვეყანაში კონსტიტუციის დონეზე დადგინდა, რომ თურქეთის ყველა მოქალაქე ავტომატურად თურქად იწერება. ამდენად, იქ არანაირ ეროვნულ უმცირესობაზე ლაპარაკი არ არის. თურქეთის თითქმის ყველა ვილაიეთი მოვიარეთ, ვინაიდან ცოტ-ცოტა ქართველი თითქმის ყველგან ცხოვრობს. რამდენჯერმე პრობლემაც კი შეგვექმნა, საკმაოდ სერიოზულიც. ამ მონაცემთა საფუძველზე პირადად მე სხვა საკითხებთან ერთად თურქეთისა და საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული ქცევის შედარებითი ანალიზი ჩავატარე და უაღრესად საინტერესო შედეგებიც მივიღე.

მარცხნიდან – ირაკლი აბაშიძე, გიორგი მარტიროსოვი, ილია II, ვაჟა ლორთქიფანიძე, რეზო თაბუკაშვილი.

ამ ერთობლივ ნაშრომში ცალკე გამოვყავით ჩრდილოკავკასიელ ხალხთა დეპორტირების, სამხრეთ კავკასიაში ჩვენი მეზობლების – აზერბაიჯანისა და სომხეთის, აგრეთვე რუსეთის ფედერაციის ჩრდილოკავკასიური სუბიექტების ისტორიული და თანამედროვე დემოგრაფიის საკითხები. ეს კავკასიის დემოგრაფიის საკითხებზე პირველი ფუნდამენტური ნაშრომია.

– უმაღლეს სკოლაში თქვენი მოღვაწეობის უმნიშვნელო ვანესი მხარეა პედაგოგიური საქმიანობა და დემოგრაფიის სპეციალისტების მომზადება. რა სიახლეებია ამ მხრივ?

– რაც შეეხება ჩემს პედაგოგიურ საქმიანობას, უნდა გითხრათ, რომ იმის მიუხედავად, რომ დემოგრაფიული თვალსაზრისით საქართველოში ძალიან რთული, დაძაბული მდგომარეობაა, ამ დარგის სპეციალისტების მომზადება ჩვენში არ ხდებოდა, ამ სფეროში სხვა სპეციალიზაციების მქონე მკვლევარები მუშაობდნენ. ამ საკითხის წინა პლანზე წამოწევა 1999 წელს დავიწყე, როდესაც თსუ-ში თავდაპირველად დემოგრაფიული პრობლემების შემსწავლელი სამეცნიერო-სასწავლო **ლაბორატორია დავაფუძნე,** შემდეგ კი, 2000 წელს, უკვე მის ბაზაზე დემოგრაფიის **კათედრა დავაარსეთ**. ძალზე მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე დემოგრაფიაში **მაგისტრატურის გახსნა,** რომელშიც ჰუმანიტარულ ფაკულტეტებს შორის ყველაზე მაღალი კონკურსი იყო. საქმე საუცხოოდ მიდიოდა, რამდენიმე მაგისტრმა სადოქტორო დისერტაციაც დაიცვა, მაგრამ 2006 წელს, უმაღლესი განათლების სისტემაში „დიადი რეფორმების“ დროს, ბევრ სხვასთან ერთად დემოგრაფიული პრობლემების კათედრაც გააუქმეს. საბედნიეროდ, მალევე საპატრიარქოს უნივერსიტეტიც დაფუძნდა, სადაც კავკასიის ისტორიული დემოგრაფიის სამაგისტრო პროგრამა დავაარსეთ. შემდეგ, 2014 წელს თსუ-ში კვლავ აღვადგინეთ ჯერ სამაგისტრო, შემდეგ კი სადოქტორო პროგრამები. გარდა ამისა, 2016 წელს საპატრიარქოს უნივერსიტეტში დავაფუძნეთ საბაკალავრო პროგრამა **„დემოგრაფია და სოციოლოგია“**.

ამდენად, საქართველოში დემოგრაფიის სფეროში მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების სამსაფეხურიანი სისტემა შევქმენით და, ჩემი აზრით, ეს ძალიან მნიშვნელოვანი გარემოებაა.

წარმოიდგინეთ, მოწინავე ეკონომიკების მქონე ქვეყნებში, სოლიდურ სისტემური ბიზნესის კომპანიებში, რომლებიც საშუალო და შორეულ პერსპექტივებზე გათვლით მუშაობენ, ყველგან ჰყავთ მაღალი კვალიფიკაციის დემოგრაფიის სპეციალისტები. კონკრეტულად თუ ვილაპარაკეთ, ისეთმა ავტორიტეტულმა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტმა, როგორიცაა მსოფლიო ბანკი, 1990-იანი წლების მიწურულს დემოგრაფიის დეპარტამენტი გახსნა, გაეროში კი სულაც დემოგრაფიის ორი დეპარტამენტი მუშაობს.

ამის განმაპირობებელი ის გარემოება გახლავთ, რომ ბოლო წლებში დემოგრაფიული პრობლემები მთელ მსოფლიოში უაღრესად გამწვავდა. კერძოდ, გაერომ, რომელმაც თავის დროზე კაცობრიობის უდიდეს გლობალურ პრობლემებად ომი, ეკონომიკური, ენერგეტიკული და ეკოლოგიური საფრთხეები დაასახელა, მათ რიცხვს დემოგრაფიული საფრთხეც მიამატა.

ეს, პირველ ყოვლისა, დედამიწის მოსახლეობის კატასტროფული ზრდით იყო გამოწვეული: ყოველწლიურად პლანეტის მოსახლეობის რაოდენობა 100 მილიონი კაცით იმატებს. ახლო მომავლის პროგნოზი ასეთია: 2050 წელს პლანეტის მოსახლეობამ დღევანდელი ზრდის ტემპების შენარჩუნების პირობებში შესაძლოა, 12 მილიარდ კაცს მიაღწიოს. ადამიანთა ამ ოდე-

ნობას კი დღევანდელისგან სრულიად განსხვავებული აგროსექტორი, საფინანსო, ენერგეტიკული, ჯანდაცვის, კომუნალური, სოციალური, სატრანსპორტო და ა.შ. ყველა სექტორი დასჭირდება, რომელიც ხალხის, სხვა თუ არაფერი, მისაღებ პირობებში არსებობას უზრუნველყოფს. გასათვალისწინებელი კიდევ ისაა, რომ მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა დედამიწის სხვადასხვა მხარეში არათანაბრად ხდება: ხალხის ოდენობის მატების 97 პროცენტი აზიისა და აფრიკის განვითარებად ქვეყნებზე მოდის. ეს კი უდიდეს მიგრაციულ პროცესებს იწვევს, რაც უკვე დაწყებულია. ამას აუცილებლად ახალი სახელმწიფოების შექმნა მოჰყვება – ზოგი გაქრება, ზოგი შეერთდება, ძირფესვიანად შეიცვლება გეოპოლიტიკა, გეოსტრატეგია. უნდა გითხრათ, რომ ევროპას ეს დიდად აფიქრებს.

რამდენჯერმე მივიღე მონაწილეობა ევროკავშირისა და ევროპარლამენტის მიერ დემოგრაფიის საკითხებისადმი მიძღვნილ დისკუსიებში, რა დროსაც განიხილავდნენ ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე საბანკო, სოციალური, ჯანდაცვითი და სხვა სოციალურ-ეკონომიკური სისტემების მოდერნიზების გზებს. **აქედან გამომდინარე, ამ გამოწვევების გათვალისწინებით, აუცილებელია, საქართველომ საკუთარი დემოგრაფიული პოლიტიკა გაატაროს.**

– თქვენ „საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოების“ ეროვნული კონცეფციის შექმნის ერთ-ერთი ავტორი და ინიციატორი ბრძანდებით. რამდენად მნიშვნელოვანია ეს საკითხი ქვეყნის მომავალი განვითარებისთვის?

– პირადად ჩემი ინიციატივითაც 2016 წელს ქვეყნის პარლამენტმა „დემოგრაფიული უსაფრთხოების ეროვნული კონცეფცია“ მიიღო, სადაც განსაზღვრულია სამოქმედო პრიორიტეტები. ახლა საქმე ამ კონცეფციის დებულებათა განხორციელებაზეა, რომელიც სამთავრობო მოსახლეობის ეროვნულმა საბჭომ უნდა მოახდინოს, რომელსაც ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს.

ცხადია, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსობა ყველა მეცნიერის ღვაწლის უაღრესად წონადი დაფასებაა, თანაც ამას ჩემი უდიდესი სიხარულიც დაემატა, რომ დემოგრაფიის როგორც მეცნიერების მნიშვნელობას ხაზი გაესვა. აკადემიის ისტორიაში პირველად მოხდა, რომ მის წევრად ასარჩევად ცალკე ადგილი დემოგრაფიაშიც გამოიყო, რითაც მეცნიერების ჭეშმარიტი აღიარება მოხდა. აკადემიის ნამდვილ წევრად ჩემს არჩევას, პირველ ყოვლისა, დარგის მხარდაჭერად აღვიქვამ, რაც მისი განვითარებისთვის ჩემგან კიდევ მეტ ძალისხმევას მოითხოვს.

– თავის დროზე ქართველ საზოგადოებაში დიდი რეზონანსი გამოიწვია იერუსალიმის ჯვრის მონასტრის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს პატრონატის ქვეშ გადმოცემის საკითხმა. მაგრამ შემდგომ ეს ამბავი თითქოს მიჩუმათდა. რა სტადიაშია პროცესი ამჟამად?

– ჩემი ბიოგრაფიის უმნიშვნელოვანესი მხარე იერუსალიმში ჯვრის მონასტრის, რომელიც ამჟამად საბერძნეთის მართლმადიდებელი ეკლესიის გამგებლობაშია, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მზრუნველობაში დაბრუნებას შეეხება. ეს პროცესი 1988 წელს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესი ილია II-ის ინიციატივით დაიწყო, სწორედ მაშინ საქართველოში ისრაელში ყოფილი სსრ კავშირის კონსული გიორგი მარტიროსოვი ჩამოვიდა, რომელსაც ირაკლი აბაშიძესთან და რეზო თაბუკაშვილთან ერთად სიონში პატრიარქის რეზიდენციაში შევხვდი. იმ დროს ამ მეტად რთული საკითხის გადაწყვეტად გარკვეული ნაბიჯებიც გადაიდგა, მაგრამ საქმეს სასიკეთო გაგრძელება არ მოჰყოლია, რადგან სსრ კავშირი დაიშალა, საქართველოში კი ცნობილი მოვლენები განვითარდა. 1996 წელს, რუსეთში ჩემი საქართველოს ელჩად ყოფნისას, მოსკოვში პირველი ოფიციალური ვიზიტით კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ჩამობრძანდა. სწორედ მაშინ წარვუდგინე მას ბატონი ბადრი პატარკაციშვილი. იმ დროისთვის საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელმა, ქალბატონმა თამილა მგალობლიშვილმა, სხვა კოლეგებთან ერთად, იერუსალიმის ჯვრის მონასტერში ორ უძველეს ქართულ ფრესკას მიაგნო, რომელთა დასაბრუნებლად საპატრიარქომ გარკვეული ნაბიჯების გადადგმა დაიწყო. მაგრამ, მაშინ ამ აქტივობას (შემთხვევით თუ საგანგებოდ, ამას დანამდვილებით ვერ გეტყვით) ორივე ფრესკის ჯვრის მონასტრიდან გაქრობა მოჰყვა – კედლებიდან რამდენიმე ათეული კვადრატული მეტრის ბათქაშის ფენები ააჭრეს და ფრესკები გაიტანეს(!) ვფიქრობ, ამ დაუფარავ ყაჩაღობას ორი მიზეზი უნდა ჰქონდეს: პირველი ის, რომ ძველისძველი ქართული ფრესკები უდიდეს მატერიალურ ფასეულობას წარმოადგენენ, მეორე ის, რომ ერთ ფრესკაზე გამოსახული წინასწარმეტყველი ელია, მეორეზე კი წინასწარმეტყველები – ელია და ელისე, უტყუარად მოწმობს, რომ იერუსალიმის ჯვრის მონასტერი ქართველთა აგებული და მოხატულია. ფრესკები დაახლოებით 80-იან წლებში მოიპარეს, შემდეგ კი დიდი მუშაობის შედეგად წმინდა ელიას გამოსახულებიან ფრესკას გერმანიაში, მსოფლიო მასშტაბით სიძველეთა ერთ-ერთი მკვლევარის კერძო კოლექციაში მივაგენით, რომლისგანაც ბადრი პატარკაციშვილის შემწეობით შევიძინეთ და საქართველოში ჩამოვაბრძანეთ.

იმ წლის მიწურულს კი იმავე პირთან მეორე ფრესკასაც მივაგენით, რომელიც ასევე ბატონ ბადრი პატარკაციშვილის წყალობით შევიძინეთ. გარდა ამისა, მასთან ერთად ჩამოვაბრძანეთ XIII-XIV საუკუნეებში შექმნილი მარიამ ღვთისმშობლის დიდი (დაახლოებით 1,5 მეტრის სიმაღლის) ხატი, რომელიც ასევე უდიდესი საეკლესიო სიწმინდეა.

– რამდენადაც ვიცი, ბევრი წვალება მოგიხდათ საქართველოში წმინდა მოწამის – დედოფალ ქეთევანის ნეშთის წმინდა ნაწილების გოადან ჩამოსასვენებლად...

– ამ ამბის მთავარი შემოქმედი კი ბატონი რეზო თაბუკაშვილი გახლდათ და რომელიც ინდოეთში პორტუგალიის ყოფილ კოლონია გოასთანაა დაკავშირებული. თავის დროზე გაჩნდა ცნობა იმის შესახებ, რომ იქ ერთ-ერთ კათოლიკურ ტაძარში წმინდანად შერაცხილი, ირანში მოწამეობრივად აღსრულებული საქართველოს დედოფალი ქეთევანის წმინდა ნაწილებია შემონახული. როცა გოაში ბატონი რეზო თაბუკაშვილი 1980-იანი წლების დამლევს ჩავიდა, ტაძარი უკვე დანგრეული დახვდა.

ბატონმა რეზომ იმდენი მოახერხა, რომ ინდოეთის მთავრობისგან იქ გათხრების ჩატარების უფლებაც კი მოიპოვა და ექსპედიციის მზადებასაც შეუდგა, მაგრამ მძიმედ ავად გახდა და ამდენად, წმინდა ქეთევანის ნეშთის მიგნება ვერ შეძლო და ამის გაკეთება ერთგვარი ანდერძივით თავის ვაჟიშვილს ლაშასა და მე, როგორც ამ საქმეში მონაწილე საქართველოს ვიცე-პრემიერს, დაგვიტოვა.

თუმცა, მოხდა ისე, რომ სსრ კავშირი დაინგრა, ამის გაკეთება შემდეგ ჩვენც ვეღარ მოვახერხეთ. 2000 წელს, როცა მე უკვე მთავრობიდან წამოსული ვიყავი, ამ ამბის ბოლომდე მიყვანა გადავწყვიტე. არქეოლოგიური ექსპედიციის გოაში წასვლა ბატონმა ბადრი პატარკაციშვილმა დააფინანსა, მაგრამ სამწუხაროდ, წმინდა ქეთევანის სხეულის ნაწილებს ვერ მივაგენით, ამიტომ იმ ადგილზე მემორიალური დაფა გავხსენით. ექსპედიციის შედეგები შემდგომ უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს გაფართოებულ სხდომას მოვახსენე. ყოველ შემთხვევაში, ჩვენმა თაობამ მცდელობა არ მოაკლო ამ სიწმინდის მიგნებას.

– დაბოლოს, ტრადიციული კითხვა თქვენი სამომავლო გეგმების შესახებ. რა ნაბიჯების გადადგმას აპირებთ?

– რაც შეეხება ჩემს სამომავლო გეგმებს, პირველ რიგში, დიდი მუშაობა უნდა გავწიოთ დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფციის სარეალიზაციოდ. ეს უდიდეს ძალისხმევას, დაძაბულ შრომას და სერიოზულ მეცნიერულ კვლევებს მოითხოვს. უახლოეს მომავალში გამოსაცემად ვამზადებთ კავკასიის მოსახლეობის შესახებ ახალ ნაშრომს, რომელიც გვინდა, გარდა ქართულისა ინგლისურ ენაზეც გამოვცეთ.

* * *

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია გულითადად ულოცავს ბატონ ვაჟა ლორთქიფანიძეს საქართველოს მეცნიერების ეროვნული აკადემიის აკადემიკოსად არჩევას და შემდგომ წარმატებებს უსურვებს როგორც სამეცნიერო, საზოგადოებრივ და პედაგოგიურ მოღვაწეობაში, ასევე პირად ცხოვრებაში.

ესაუბრა
ოთარ ტურაბელიძე

ჭავჭავაძის გამზირის რეაბილიტაციის პირველი ეტაპის სამუშაოებს დაახლოებით სამი თვე დასჭირდება

როგორც კახა კალაძემ აღნიშნა, ჭავჭავაძის გამზირის პირველი ეტაპის სამუშაოები დაიწყო, რის გამოც მოძრაობა გადაიკეტა ვარაზისხევის ამოსასვლელიდან ატენის ქუჩამდე.

კახა კალაძემ ჭავჭავაძის გამზირზე მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერა და აღნიშნა, პირველ ეტაპზე გამოიცვლება კომუნიკაციები და სანიაღვრე სისტემა.

„ელექტროსადენები, რომელიც ჰაერშია, დაგეგმილია მათი მიწის ქვემოთ ჩატანა, მთლიანად იქნება მოწესრიგებული, როგორც ნორმალურ განვითარებულ ქალაქებში. კიდევ ერთხელ მინდა, ბოდიში მოვუხადო დედაქალაქის მოსახლეობას შექმნილი დისკომფორტისთვის, მაგრამ ყველა ვთანხმდებით, რომ ასეთი პროექტების განხორციელება შეზღუდვების გარეშე შეუძლებელია. ვადებს რაც შეეხება, პირველი ეტაპის სამუშაოები სამი თვის განმავლობაში უნდა დამთავრდეს. ყველაზე დიდი პრობლემა არის, მიწისქვეშ განთავსებული ქსელი. რეალურად არავინ იცის მისი არსებული მდგომარეობა. ერთი ვიცით, რომ არის ძლიერად დაზიანებული, იგივე არის მელიქიშვილზე, ამიტომ „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერთან“ ერთად დავიქირავეთ უცხოელი ექსპერტები და მათი ზედამხედველობის ქვეშ მიმდინარეობს სამუშაოები. როდესაც დაიწყება სამუშაოები, გაიხსნება ყველაფერი, ამიტომ გადავწყვიტეთ, სამუშაოებს ეტაპობრივად გავყოლოდით. თუ დავინახეთ, რომ დროში იწელება და მთლიანი ქუჩის რეაბილიტაცია სრულად ვერ მოხერხდება, დავამთავრებთ პირველ ნაწილს, რაც არის დაწყებული და შემდგომ მომდევნო წლებში გადავალთ სხვაზე“, – განაცხადა კალაძემ.

„ჭრელ აბანოს“ თოვლის ოთახი დაემატა

„ხუთწლიანი პაუზის შემდეგ, 2016 წელს განახლებული „ჭრელი აბანო“ ტურისტებისთვის თბილისის სავიზიტო ბარათი გახდა. უცხოელები სპეციალურად მოდიან ისტორიული, გოგირდის აბანოების სანახავად და დღეს იგი ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადია“ – აცხადებს „კომერსანტთან“ საუბარში „ჭრელი აბანოს“ ადმინისტრაციის მენეჯერი **ალინა სოხაძე.**

მისი თქმით, „ჭრელ აბანოს“ რეკონსტრუქციის შემდეგ ძველი იერსახე სრულად შენარჩუნებული აქვს, თუმცა შიდა სივრცე, ნომრების ზომა და სერვისი თანამედროვე მოთხოვნებზეა მორგებული, შესაბამისად ფასებიც განსხვავებულია. 1 საათით ნომრის ფასი 50-დან 500 ლარამდე მერყეობს და, როგორც წესი, ყველა ადგილი წინასწარ რამდენიმე დღით, ზოგჯერ ერთი თვით ადრეა დაჯავშნილი. ღირებულების მიხედვით ნომრებში ხვდებათ აუზი, საუნა, საშხაპეები. განსაკუთრებული მაინც პრემიუმ კლასის სამეფო აბანოა.

„სამეფო ნომერი რეკონსტრუქციამდე არ გვქონდა. შემდეგ დავამატეთ, რომლის მოცულობა საკმაოდ დიდია. სტუმარს ხვდება ინდივიდუალური აუზი, საუნა და ა.შ. სიახლეა ისიც, რომ მას შეუძლია ისარგებლოს თოვლის ოთახით, სადაც შესულს მინუს 25 გრადუსი ხვდება. სპეციალურად ჩამოვიტანეთ შესაბამისი დანადგარი, რომლის საშუალებით გვაქვს ნამდვილი თოვლი. მოკლედ, ნომერში თოვს. ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით და ტურისტები გაოცებულები რჩებიან ხოლმე“.

მენეჯერის თქმით, **თბილისურ აბანოებს ძირითადად რუსეთიდან სტუმრობენ. ადგილობრივი მაცხოვრებელი კი საკმაოდ იშვიათად დადის და ასაკობრივი სეგმენტიც მაღალია. ეს ფაქტი ორი მიზეზით აიხსნება: ასაკოვან ხალხს მეტი ინფორმაცია აქვს აბანოების შესახებ და მეორე ამბავია სოციალური მდგომარეობა. ხალხს არა აქვს იმდენი შემოსავალი, რომ ყოველდღიური პრობლემების მერე აბანოში განიტვირთონ“.**

რაც შეეხება სეზონურ მომართვიანობას, როგორც ალინა სოხაძე ჩვენთან საუბარში აღნიშნავს, თითქმის მთელი წელი დატვირთულია და ამ კუთხით ბიზნეს პრობლემა არა აქვს. გამოწვევა კვალიფიციურ კადრებში და მომსახურებაშია.

„თბილისი ისეთია, ქალაქში ტურისტი სულ შეგხვდება, ამიტომ ჩვენც სულ დატვირთული მუშაობა გვაქვს. ძალიან ხშირად, ის ვინც გეგმავს საქართველოში ჩამოსვლას პირადად გვწერს ოფიციალურ გვერდზე და წინასწარ ჯავშნის ნომერს. ასევე გვეხმარება ისიც, რომ ზოგადად ეს ლოკაცია არის საინტრესო და ამიტომ ტურისტული ჯგუფები მოჰყავთ დასათვალიერებლად, მერე ისინი ინტერესდებიან და რჩებიან ჩვენთან. პრობლემას გვიქმნის კადრები. ძალიან რთულია ბაზარზე შესაბამისი უნარების მქონდე თანამშრომლის აყვანა სამსახურში. ჩვენ თავად ვატარებთ ტრენინგებს, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. კადრების კვალიფიკაცია კი მომსახურებაზეც აისახება“.

სალომე ლემონჯავა

ᲕᲘᲜ ᲒᲐᲐᲚᲕᲘᲫᲐ „ᲔᲨᲛᲐᲙᲘ“, ᲐᲜᲣ ᲛᲐᲠᲨᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲕᲘᲗᲒᲐᲠᲔᲯᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲐᲠ ᲛᲝᲒᲕᲐᲠᲓᲔᲑᲐ!

ᲓᲐᲕᲘᲗᲒᲐᲠᲔᲯᲘᲡ სამონასტრო კომპლექსთან დაკავშირებული ვნებათაღელვა ახალ ფაზაში შევიდა და სადღეისოდ იგი უკვე №1 პრობლემად იქცა. მიუხედავად იმისა, რომ პრობლემის მოგვარების გზა ყველას სხვადასხვანაირად ესმის, განწყობა საერთოა — ეს ქართული სიწმინდეა და ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ შევინარჩუნოთ!

ᲮᲨᲘᲠᲐᲓ მკვეთრად ემოციური მოწოდებებიც ისმის. რადიკალურად განწყობილი დაჯგუფებების წევრები პრობლემის ძალისმიერი მეთოდებით (პერმანენტული აქციები დავითგარეჯის ტერიტორიაზე, მუდმივი პატრულირება და ა.შ.) გადაწყვეტის რეკომენდაციებსაც კი იძლევიან.

მიუხედავად იმისა, რომ ამ მიძინებული თემის პროვოცირება საქართველოს ახლადარჩეულ პრეზიდენტს, ქ-ნ სალომე ზურაბიშვილს ბრალდება, ეს ნამდვილად არ ამართლებს მეზობელი სახელმწიფოს ქმედებებს, თუნდაც, ამ სადავო ტერიტორიაზე (იგულისხმება აზერბაიჯანული მხარის თავხედური გამოწვევები).

ვისგანაც არ უნდა იყოს პროვოცირებული, რაც არ უნდა საქართველოსადმი მტრულად განწყობილი სახელმწიფოს (სახელმწიფოების) ხელწერა არ იკითხებოდეს ამ გამოწვევის მიღმა, სადავო საკითხები, რომელიც მეოცე საუკუნის 20-იანი წლებიდან იღებს სათავეს, მხოლოდ და მხოლოდ მოლაპარაკების მაგიდასთან უნდა გადაწყდეს!

არ ვიცი, რამ (ვინ) მისცა იმპულსი სალომე ზურაბიშვილს საუბარი მეზობელ სახელმწიფოსთან სადემარკაციო-სადელიმიტაციო ხაზის განსაზღვრაზე დაეწყო, მაგრამ ფაქტია, რომ ამ ინიციატივას აზერბაიჯანის მხრიდან მწვავე რეაგირება მოჰყვა. თუმცა, არც ის არის გამორიცხული, მსგავსი დილემის წინაშე ცოტა მოგვიანებით მაინც აღმოვჩენილიყავით, რადგან, არავინ იცის, დაკონსერვებული (მიჩუმათებული) პრობლემები როდის იჩენს თავს ხოლმე .

საშუალო და უფროს თაობას კარგად ახსოვს გასული საუკუნის 80-იან წლებში დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსთან დაკავშირებული ვნებათაღელვა, რისი მიზეზიც სამონასტრო კომპლექსთან არსებულ პოლიგონზე სამხედრო წვრთნების შეჩერების მოთხოვნა იყო: სხვათაშორის, სწორედ ეს თემა გახდა ეროვნული მოძრაობის აზვირთების ერთ-ერთი წინაპირობაც, რომელმაც უნივერსიტეტიდან რუსთაველის პროსპექტზე გადაინაცვლა.

დავითგარეჯის კომპლექსთან დაკავშირებულ კითხვებზე არგუმენტირებულ პასუხს იძლევა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მაშინდელი პირველი მდივანი, ბ-ნი ჯუმბერ პატიაშვილი. ერთ-ერთი მედიის ჟურნალისტისთვის მიცემულ ინტერვიუში ბატონი ჯუმბერი ხაზგასმით ამბობს, რომ საბჭოთა საქართველოს მაშინდელი ხელმძღვანელობა დღენიადაგ ფიქრობდა ამ მეტად სისხლხორცეული პრობლემის მოგვარებაზე და სხვადასხვა გზას ეძებდა. მისი თქმით, ერთ-ერთი ასეთი ნაბიჯი იყო უდაბნოში ქართველების ჩასახლება და ამით გაძლიერება.

ცკ-ის ყოფილი მდივანი აღნიშნავს, რომ 1921 წელს საზღვრების გადანაწილების დროს, ბერთუბანი, რომელიც დღესაც ორ სახელმწიფოს შორის დავის საგანია, შეცდომით მოხვდა აზერბაიჯანის მხარეს და შემდგომ ამის გამოსწორებაზე არავის უზრუნია, ვიდრე, ე.წ. „პერესტროიკამდე“. თუმცა, მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ორივე რესპუბლიკისთვის თითქმის მისაღები პროექტიც არსებობდა, საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებამ ამ პრობლემის ბოლომდე მოგვარება ვერ მოასწრო!

გამსახურდიას ხელისუფლებას კი ამოსუნთქვის საშუალებაც არ ჰქონდა. მას არც დასცალდა, დღის წესრიგში დაეყენებინა დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსთან დაკავშირებული პრობლემის გადაწყვეტის აუცილებლობა და ეხელმძღვანელა მისი წინამორბედი ხელისუფლების მიერ აზერბაიჯანთან თითქმის შეთანხმებული პროექტით და სისრულეში მოეყვანა იგი.

რაც შეეხება შევარდნაძის და სააკაშვილის ხელისუფლებებს, მათ საერთოდ არ გახსენებიათ დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსთან დაკავშირებული მიჩუმათებული პრობლემა და როგორც ბატონი ჯუმბერ პატიაშვილი ამბობს, თითი თითზე არ დაუკარებიათ!

ამ ბოლო დღეებში ბევრმა პრობლემა ისე წარმოაჩინა, რომ თითქოს დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსს საერთოდ გვართმევდნენ აზერბაიჯანელები, რაც სიცრუეა. ამით მავანი და მავანი ცდილობდა არსებული ვითარების ესკალაციას, რაც, ბუნებრივია, ჩვენთვის მიუღებელი შედეგით დამთავრდებოდა.

არადა, აქ საუბარია მხოლოდ და მხოლოდ ბერთუბანზე, ანუ იმ ტერიტორიაზე, რომელიც 1921 წელს შეცდომით ერგო აზერბაიჯანს და სადაც ქართული სულიერების უნიკალური ძეგლებია თავმოყრილი.



ᲡᲘᲪᲮᲐᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲡᲔᲕ ᲑᲐᲢᲝᲜ ᲯᲣᲛᲑᲔᲠ ᲞᲐᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲛᲝᲕᲘᲮᲛᲝᲑ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ: „ᲓᲐᲕᲘᲗᲒᲐᲠᲔᲯᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲝ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ, ᲡᲐᲓᲐᲕᲝ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲑᲔᲠᲗᲣᲑᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐᲪ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ“!

როგორც ირკვევა, თავის დროზე საქართველოს ხელისუფლება (იგულისხმება საბჭოთა ხელისუფლება) აზერბაიჯანს ბერთუბნის სანაცვლოდ სთავაზობდა 70 ჰექტრამდე ტერიტორიას, რაც მაშინ ვერ განხორციელდა. ასეა თუ ისე, მიჩუმათებულმა პრობლემამ ისევ იჩინა თავი და ახლა ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ ტერიტორიული პრეტენზიები ჩვენს სასარგებლოდ გადაწყდეს.

რაც არ უნდა ემოციური მუხტი აგორდეს საქართველოში, ტერიტორიული პრობლემა (თუმცა, ეს მხოლოდ ტერიტორიული პრობლემა არ არის!) აქციებითა და ე.წ. მარშით არ გადაწყდება. პირიქით, ჩვენს მტრებს გავახარებთ და კიდევ ერთი ცხელი კერა გაჩნდება. ამდენ რყევას კი ისედაც დაუძლურებული ქვეყანა ნამდვილად ვერ გაუძლებს!

რჩება ერთადერთი შანსი: სახელმწიფოთაშორისი (ორმხრივი) კომისია და დაჯდომა მოლაპარაკების მაგიდასთან. ნიშანდობლივია ისიც, რომ საქართველოს მეზობელ აზერბაიჯანთან საკუთარი პოზიციის დაცვის სხვადასხვა ბერკეტი გააჩნია, რაც მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ!

რაც არ უნდა ვიძახოთ, რომ დღევანდელი ხელისუფლება უნიათოა და რა პრეტენზიებიც არ უნდა გვქონდეს მასთან, დღეს ისინი წარმოადგენენ სახელმწიფოს და სახელმწიფოს სახელით სწორედ მათ უნდა ელაპარაკონ მეზობელ ქვეყანას სადავო ტერიტორიულ საკითხებზე.

მახსოვს, კონფლიქტის აგორების პირველ დღეებში საზოგადოება საყვედურობდა საქართველოს ეკლესიას, რომ არ დაუფიქსირებია პრინციპული პოზიცია დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის გარეშემო არსებულ ინციდენტთან დაკავშირებით.

რამდენიმე დღის წინათ ჩვენ გავეცანით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის განცხადებას, სადაც მისი უწმინდესობა მიგვანიშნებს, „რომ სერიოზული პრობლემის შექმნა სურს სხვა ძალას, რომელიც თავისი მიზნების განხორციელებისთვის დასაყრდენს პოულობს როგორც ერთ, ისე მეორე ქვეყანაში“.

სავსებით ლოგიკური მინიშნებაა, თუმცა, ეს არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ ჩვენ ჩვენს ხელთ არსებული ყველა საშუალება არ გამოვიყენოთ სიტუაციის შესარბილებლად და ცივილური გადაწყვეტილებების მისაღებად.

დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსი და მის გარშემო არსებული სიწმინდეები რომ უნდა შევინარჩუნოთ, ცხადია, მაგრამ ახლა უფრო იმაზე უნდა ვიფიქროთ, როგორ ავიცილოთ თავიდან გართულებები, რომელიც „სხვა ძალის“ ინტერესებში შედის და როგორ შევინარჩუნოთ ქართველი ერის სულიერი სიწმინდე!

ოფიციალურ განცხადებაში საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელი სასულიერო პირებს და მრევლს მოგვიწოდებს, რომ არ ავყვეთ ემოციებს, გამოვიჩინოთ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა და არ მივცეთ ბნელ ძალებს პროვოკაციის საშუალება.

ჭეშმარიტად!

ვინც დღეს ემოციური აღტკინებით ცდილობს ამ პრობლემის მოგვარებას, ის ნამდვილად ცეცხლზე ასხამს ნავთს. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემისადმი ჩვენი დამოკიდებულება პრინციპულად არ გამოვხატოთ. უპირველესად, ჩვენი აქტიურობით უნდა ვაიძულოთ ხელისუფლება, სპეციალისტთა და საზოგადოების წარმომადგენელთა მხრიდან შექმნას სპეციალური კომისია, რომელიც მოამზადებს რეკომენდაციებს აზერბაიჯანულ მხარესთან მოლაპარაკების თვალსაზრისით.

დიახ, პრობლემა სახელმწიფოებრივ მიდგომას მოითხოვს, რომ თავიდან ავიცილოთ მოსალოდნელი გართულებები და საფრთხე არ შევუქმნათ ერის სულიერ საუნჯეს. ნიშანდობლივია ისიც, რომ დღეს მოღალატის იარლიყის მიკერება და „სხვა ძალის“ ძებნა ნაკლებად აქტუალურია სახელმწიფო ინტერესებისთვის.

სხვათა შორის, რადიკალური მოწოდებები ისმის სასულიერო პირების მხრიდანაც. ჩვენ, რა თქმა უნდა, საკამათოდ არ გვეჩვენება, რომ დავითგარეჯი საქართველოს ტერიტორიის ღვიძლი ნაწილია, რომელსაც თავისი სიწმინდიდან გამომდინარე, ღრმა სულიერი დატვირთვა გააჩნია, მაგრამ, ამჯერად სხვა დილემის წინაშე ვდგავართ და ყველაფერს უფრო ფრთხილად უნდა მივუდგეთ!

რადგან პრობლემამ მასშტაბურად იჩინა თავი, სწორედ ახლა ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ეს სადავო ტერიტორია საქართველოს იურისდიქციაში მოექცეს, სწორედ ახლა კონსენსუსის გზით უნდა გადაწყდეს საზღვრის დემარკაცია-დემილიტაციის პრობლემა.

აქედან გამომდინარე, ჩვენ საკუთარ ხელისუფლებას კი არ უნდა დავუპირისპირდეთ, არამედ, ვაიძულოთ და ხელიც უნდა შევუწყოთ, რომ პრობლემა სახელმწიფოებრივი ინტერესების პრიზმაში მოაქციოს და ნაკლები დანაკარგებით სასურველი შედეგი მივიღოთ!

ვეთანხმები დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის წინამძღვარს, არქიმანდრიტ ილარიონს (ჭიღლაძე), რომ „განსაცდელს უფალი უშვებს. ესეც ერთგვარი განსაცდელია. ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, როგორ მოვიქცევით!“

ერიც და ბერიც ერთად უნდა დადგეს!

ᲖᲐᲣᲠ ᲜᲐᲭᲧᲔᲑᲘᲐ

ᲣᲙᲐᲜᲝᲜᲝ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲛ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ ᲓᲐᲐᲜᲒᲠᲘᲐ!

ᲕᲐᲜᲓᲐᲚᲘᲖᲛᲘ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ კორხში — სოფლის მოსახლეობისა და სამშენებლო პროცესის ინიციატორ იურიკ წარუკიანის თვითნებური გადაწყვეტილების გამო, წმინდა სტეფანეს სახელობის ეკლესიაზე უნებართვო მშენებლობა განხორციელდა.

„კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის კედლები ძალაყინითაა ჩამოშლილი, ხოლო ტაძრის ერთ-ერთი ფასადი თითქმის სრულად განადგურებული. უნებართვო სამუშაოებზე, რომელიც მაისის თვიდან დაიყო, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლების მიერ 10 მაისს გამოვლინდა. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საწყის ეტაპზე ძეგლის გარშემო საძირკვლის დონეზე უნებართვოდ ამოღებული მიწის ფენა დაფიქსირდა, რაც ძეგლს დაზიანების საფრთხეს თავიდანვე უქმნიდა. უნებართვოდ განხორციელებული ქმედების გამოსწორებისა და განხორციებული სამუშაოების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მოთხოვნით, მოქალაქე იურიკ წარუკიანს „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის საფუძველზე სააგენტომ წერილობითი გაფრთხილება მისცა, რომლის საფუძველზეც მას რამდენიმე ვალდებულება განესაზღვრა.

88-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ფიზიკური პირი 21 მაისს სააგენტომ 5000 ლარის ოდენობის ადმინისტრაციული სახდელით დააჯარიმა, რომლის კანონიერებას ახალქალაქის მუნიციპალიტეტის პირველადი ინსტანციის სასამართლო 30 მაისს დაადგენს. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არაოფიციალური ინფორმაციით, უნებართვო სამუშაოების ორგანიზებისთვის იურიკ წარუკიანის გაფრთხილებისა და 5000 ლარით დაჯარიმების მიუხედავად, კორხის წმინდა სტეფანეს სახელობის ეკლესიაზე უნებართვო სამუშაოები მაინც გრძელდება, რამაც მოქმედი კანონმდებლობით შესაძლოა, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრის აუცილებლობა წარმოშვას“, — აცხადებენ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოში.



შერლოკ ჰოლმსი ცხოვრებისა და სხვა ფილოსოფიურ საკითხთა შესახებ

ფანჯარაში გაიხედეთ. რა უხალისო, საზიზღარი და უიმედოა ქვეყნიერება! შეხედეთ, რა ყვითელი ნისლი დასტრიალებს ქუჩას, რარიგ ფარავს ჭუჭყიან-ყავისფერ სახლებს. რა შეიძლება, რომ უფრო პროზაული და მატერიალურად უფრო ტლანქი და უხეში იყვეს?

* * *

სწავლა არცროდის გვიან არ არის. განათლება გაკვეთილების ჯაჭვია და ყოვლის უფრო სერიოზული რგოლი ბოლოსკენ არის.

* * *

ვამბობ „წარმატება-მეთქი“, მაგრამ გზად ვერ გადავეყრებოდი, რომ არ მეძებნა.

* * *

რა აზრი ყრია ამ უბედურებასა, ძალადობასა და საშინელებაში? აუცილებლად უნდა იყვეს რაიმე აზრი, სხვაგვარად გამოდის, რომ ჩვენს წუთისოფელს შემთხვევა მართავს, ეს კი წარმოუდგენელია. მაშ, რა აზრია? აი, ისიც, მარადიული კითხვა, რაც ადამიანის გონების მხრიდან დღესაქამომდე უპასუხოა.

* * *

სუყოველს, ვინც საკუთარ საქმეს იწყებს, თავდაპირველად ცუდად მისდის.

* * *

ცხოვრება ერთი მთლიანი უხამსობაა, გაზეთები – გამოცლილი, გამოფიტულია, შემართება და რომანტიკა თითქოსდა სამუდამოდ ჩამოსცილდა დანაშაულებრივ სამყაროს.

* * *

ვატსონი ამტკიცებს, რომ რეალური ცხოვრების თეატრალური რეჟისორი ვარ.

– დიახ, ჩემთვის ეს კარგი გაკვეთილია, – უხალისოდ შენიშნა ჰედერლიმ, უკან, ლონდონში მიმავალ მატარებელში რომ ჩავსხედით. – თითიც დავკარგე და ორმოცდაათი გინეიც, სამაგიეროდ რა შევიძინე?

– გამოცდილება, – სიცილით მიუგო ჰოლმსმა. – ალბათ, გამოგადგება. საჭიროა, მხოლოდ ეგ გამოცდილება სიტყვებში გაახვიო, რათა მთელი ცხოვრება ჩინებული მთხრობელის სახელი იქონიო.

* * *

ჯობს ჭკუაში გვიან ჩავარდნა, ვიდრე არცროდის.

* * *

დიად საქმეთა დღენი დათვლილია.

* * *

მგონია, რომ ღვთაებრივი განგებულების ჩვენეულ რწმენას ყვავილებს უნდა ვუმადლოდეთ. ყოველივე დანარჩენი – ჩვენი უნარი, ჩვენი სურვილები, ჩვენი საკვები – აუცილებლივ გვჭირდება არსებობისთვის. მაგრამ ვარდი ამ ყველაფრის ზედმეტად გვეძლევა. ვარდის სუნი და ფერი ცხოვრებას გვილამაზებს და სულაც არ არის ჩვენი არსებობის პირობა. მხოლოდ ღვთაებრივ განგებულებას ძალუძს მშვენიერების წყაროობა. აი, რატომ ვამბობ: სანამ ქვეყნად ყვავილებია, ადამიანს იმედოვნება შეუძლია.

* * *

ჩემო ძვირფასო მეგობარო, ცხოვრება იმ ყველაფერზე ბევრად უფრო თავსატეხია, რასაც ადამიანის წარმოსახვის შექმნის უნარს იქმს.

* * *

ეჰ, რა არარაობანი ვჩანვართ ჩვენი საცოდავი ამბიციებითა და სურვილებით იმ ძალებთან შედარებით, სამყაროს რომ მართავენ!

* * *

ცხოვრება ბევრად უფრო საკვირველი რამ არის, ვიდრე ის ყველაფერი, რასაც ადამიანის გონების შექმნა შეუძლია.

* * *

საშიშროების განჭვრეტა რომ შეიძლებოდეს, იმისი შიში აღარ გვექნებოდა.

* * *

მარტო შურისძიებაზე ოცნებით ცხოვრება არ შეიძლება. ეს ჩვენი ერთ-ერთი უნაყოფო ვნებაა, რაც სულს აშრობს.

* * *

ის მზად იყო სიკვდილისთვის, მხოლოდ ჩემთან ერთად. თუმცა ჩემს გეგმებში ეს სრულიად არ შედიოდა!

* * *

ზოგიერთმა თქვენგანმა, მდიდრებო, კარგად უნდა დაიხსომოთ, რომ ამქვეყნად ბევრი რამ ისეთი არის, რასაც ფულით ვერ იყიდი.

* * *

მთელი ჩემი ცხოვრება სულ იმის ცდაში ვიყავი, რომ როგორმე თავი დამეღწია ყოველდღიურობის მოსაწყენი ერთფეროვნებისთვის.

* * *

არც ერთი ჯაჭვი თავის უსუსტეს რგოლზე უმტკიცესი ვერ იქნება.

* * *



უთუოა, რომ .განჭვრეტის უნართაგან ყოვლის უფრო მადლიანი და ძვირფასი იმის უცოდინარობაა, რაც წინ გველოდება.

* * *

სიმართლე, რაგვარიც არ უნდა იყვეს, განუსაზღვრელობასა და ეჭვზე უკეთესია.

* * *

ყოვლის უფრო თამამ ფანტაზიას არ ძალუძს იმ უჩვეულო და საოცარ შემთხვევათა წარმოდგენა, ყოველდღიურ ცხოვრებაში რომ გვხვდება.

* * *

ყოველივე ნარუქი, ახალი, ჯერეთ განუცდელი, წინასწარ გაცილებით საშინლად მეჩვენება თუ მესურათხატება, ვიდრე მერე სინამდვილეშია.

* * *

ვისაც სიკვდილისთვის თვალებში არ ჩაუხედავს, მხოლოდ ის ფრთხება იმის წინაშე, როცა აღსასრული დგება.

* * *

დოქტორს ვერა და ვერ უპატიებია ჩემთვის, ერთხელ რომ ვთქვი, სნებისაგან სიკვდილი მირჩევნია, ვიდრე წამალთაგან-მეთქი.

* * *

დამიჯერეთ, არცრაა უფრო არაბუნებრივი, ვიდრე ბანალობა.

* * *

ყოველივე უცხო დიდებული გვეჩვენება.

* * *

დანაშაულის ჩადენა მოსაწყენია, არსებობაც მოსაწყენია, არცრა დარჩა ამქვეყნად მოწყენილობის გარდა.

* * *

რაც ვიცით, ის ნაკლებად გვაშფოთებს და გვტანჯავს, ვიდრე ნახევრად ნათქვამი და ნავარაუდევი რამ.

* * *

– გხედავ, ორი ღამის უძინარი ხარ, – თქვა ჰოლმსმა მშვიდი, გულითადი ტონით. – უძილობა, რომ იცოდე, უფრო ასავათებს ადამიანს, ვიდრე სამუშაო და ის კი არა, კიდევ უფრო მეტად, ვიდრე ტკბობა.

* * *

ჩვენ ბედის მადლიერნი უნდა ვიყვნეთ, თუნდაც მარტო იმისთვის, რომ რამდენიმესაათიანი უსაქმურობისგან გვიხსნა!

* * *

აგერ ახლა იმ გამოცანაზე ვფიქრობდი, რომ ვერა და ვერ გამომიცვნია – სიკვდილზე.

* * *

მთავარი ამქვეყნად ის კი არ არის, სად ვდგავართ, არამედ ის არის, რა მიმართულებით ვმოძრაობთ.

* * *

რატომ გვათამაშებს ნეტავ ბედ-იღბალი ისეთ საცოდავ, უმწეო ქმნილებათ, ჩვენ რომ ვართ?

* * *

ცხოვრებაში ყოველივე პირწმინდად მეორდება, თვით პროფესორი მორიარტიც კი.

* * *

– მალე ქვემო ქარი დაუბერავს, ვატსონ.

– არა მგონია, ჰოლმს. ძალიან თბილა.

– ეჰ, ძველო ვატსონ! ამ ცვალებად საუკუნეში მარტო შენ არ იცვლები. აი, ნახავ, მალე ისეთი ქვემო ქარი ამოვარდება, როგორსაც ოდესმეც არ დაუბერავს ინგლისისთვის. ცივი, სუსხიანი ქარი, ვატსონ, და ვინ იცის, იქნებ ბევრი ჩვენგანი დავიღუპოთ კიდეც იმისი ყინულოვანი სუნთქვისგან. რას ვიზამთ, უფლისგან გამოგზავნილია და როცა ქარაშოტი ჩადგება, ქვეყანა გაჩახჩახებული მზის ქვეშ უფრო სუფთა, უკეთესი და ძლიერი გახდება.

* * *

– აბა, თუ იცი, რა გადაწყვეტს სუყოველ ჩვენს პრობლემას, ვატსონ?

– მაინც რა?

– ძილი!

* * *

დაე, უზენაესმა განგვიკითხოს. აირჩიე ერთი აბი და გადაყლაპე. ერთში სიკვდილია, მეორეში სიცოცხლე. მე იმას გადავყლაპავ, რომელიც დარჩება. ვნახოთ, არის ამქვეყნად სამართლიანობა თუ შემთხვევა გვმართავს.

* * *

ბიზნესი სასტიკი თამაშია. აქ სუსტი იღუპება.

* * *

ერთხელ უკვე მქონდა შემთხვევა, რომ შემენიშნა, ველურობიდან საშინელებამდე ერთი ნაბიჯია-მეთქი.

მისტერ შერლოკ ჰოლმსის ხუმარსიტყვა

გეცნობათ, ვატსონ, ეს ყელიანი ფეხსაცმელი? ამისი ღვიძლი ძმა სასტუმრო „ნორტუმბერლენდში“ დაიწვა. წყვილი ფეხსაცმელია, ბედ-იღბალი კი, ხედავ, რა სხვადასხვანაირი ჰქონიათ!

* * *

ახლავე მოდით, თუ შეგიძლიათ. თუ არ შეგიძლიათ, სულერთია, მაინც მოდით.

* * *

– ჩვენ ამ კვალს გავყვებით, სანამ ჯერეთ არ გაცივებულა.

– რასაც შენს ვახშამზე ვერ ვიტყვით.

(დასასრული იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №95, 97-107

რა ელის მწვანე ბარათს?

ტრამპი ლეგალური იმიგრაციის გამკაცრებას ითხოვს

ამერიკის მეცნიერების ეროვნული საბჭოს ინფორმაციით, შეერთებულ შტატებში მეცნიერებისა და ინჟინერიის დარგში მომუშავე ადამიანების მესამედი ამერიკაში დაბადებული არ არის. პრეზიდენტ დონალდ ტრამპს ამერიკაში უფრო მეტი ასეთი ადამიანის ჩამოყვანა სურს.

„ლეგალური იმიგრაციის ახალი სისტემა, რომელიც ამერიკელების ხელფასებს დაიცავს, ამერიკულ ღირებულებებს წაახალისებს და მთელი მსოფლიოდან ყველაზე ჭკვიან ადამიანებს მოიზიდავს“, — განაცხადა პრეზიდენტმა ტრამპმა.

ამერიკა ყოველწლიურად 1,1 მილიონ მწვანე ბარათს გასცემს. ეს ის დოკუმენტია, რომელიც ადამიანს ამერიკაში მუდმივი ცხოვრების ლეგალურ სტატუსს და ამერიკაში მუშაობის ნებართვას აძლევს. ამ ბარათების უმრავლესობა ოჯახის გაერთიანების საფუძველზე მიიღება, რისთვისაც სპეციალური განათლება ან პროფესია სულაც არაა საჭირო.

ტრამპს სურს, ასეთი მწვანე ბარათები „დამსახურებაზე დაფუძნებული“ სისტემით ჩაანაცვლოს. მას ასევე უნდა ჰუმანიტარული ვიზების განახევრება, როგორიცაა თავშესაფრის მოთხოვნა და ლტოლვილის სტატუსის მინიჭება.

... და ბოლოს, სურს მწვანე ბარათის ლატარეის გაუქმება! ტრამპის წინადადება, რომელიც მისი თქმით, შემთხვევით შერჩევას გამორიცხავს, ქულების სისტემაზეა დაფუძნებული.

ადამიანმა ქულების სათანადო რაოდენობა ასაკის, ენის ცოდნის, განათლების, სამსახურის შეთავაზების ან ინვესტიციის ჩადების პირობით უნდა დააგროვოს. თითოეულმა პირმა ასევე უნდა ჩააბაროს გამოცდა ამერიკის ისტორიასა და მმართველობით სისტემაში.

დემოკრატებმა დამსახურებაზე დამოკიდებული ტრამპის გეგმა უკვე უარყვეს.

„რას ამბობენ „რესპუბლიკელები“, რომ ოჯახის წევრები არ იმსახურებენ ჩამოსვლას? რას ამბობენ, რომ ადამიანები, რომლებიც ამ ქვეყანაში ოდესმე ჩამოსულან და ინჟინრის დიპლომი არ ჰქონდათ, არ იმსახურებდნენ ჩამოსვლას?“ — აცხადებს ნენსი პელოსი, აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის სპიკერი.

ამასთან ერთად, პრეზიდენტი არ საუბრობს 700 ათას, ეგრეთ წოდებულ, მეოცნებეზე, რაც დემოკრატებისთვის მნიშვნელოვანი თემაა. ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც მშობლებმა ამერიკაში მაშინ ჩამოიყვანეს, როცა ისინი არასრულწლოვნები იყვნენ.

მიმომხილველთა ნაწილი ფიქრობს, რომ ეს წინადადება კონგრესში მხარდაჭერას ვერ მოიპოვებს.

„ეს წინადადება კანონი არ გახდება. სიტყვით გამოსვლის ბოლოს მან (პრეზიდენტმა ტრამპმა) მიანიშნა, რომ თუ კონგრესი მისი პირველი ვადის დამთავრებამდე ამ კანონს არ მიიღებს, მაშინ ის ორივე პალატაში რესპუბლიკელების მიერ უმრავლესობის მოპოვებას დაელოდება. მაგრამ წინა ორი წლის განმავლობაში კონგრესის ორივე პალატას „რესპუბლიკელები“ აკონტროლებდნენ და იმიგრაციასთან დაკავშირებით მან მაინც ვერაფერი გააკეთა“, — ამბობს დევიდ ბაიერი კატონის ინსტიტუტიდან.

პრეზიდენტის წინადადება ასევე არ ითვალისწინებს დაბალი კვალიფიკაციის მქონე მუშახელზე არსებულ დიდ მოთხოვნას.

„ის ინდუსტრიები, რომლებიც მუშახელის ნაკლებობას განიცდიან, განსაკუთრებით არიან დამოკიდებული იმიგრანტებზე, იქნება ეს სოფლის მეურნეობა, მშენებლობა თუ მაგალითად, ხორცის დაფასოება. მოთხოვნა ამ მიმართულებით განსაკუთრებით მაღალია და მიუხედავად იმისა, რომ კვალიფიციური მუშახელის ყოლა მნიშვნელოვანია, ის ჩვენს საჭიროებებს ვერ შეავსებს“, — აცხადებს რიკ სუ ბუფალოს უნივერსიტეტიდან.

ამ ფონზე, პრეზიდენტი ტრამპი ამერიკა-მექსიკის საზღვარზე კედლის აშენებას კვლავ ითხოვს და ამასთან, საზღვრის გადაკვეთისთვის მოსაკრებლის დაწესება სურს, რომლითაც კედლის აშენებას დააფინანსებს.

WWW.AMERIKISKHMA.COM

ფლორენციის ციხეში მყოფი ქართველი ემიგრანტი დახმარებას ითხოვს

იტალიის ციხეში ქართველი ემიგრანტი ცემეს, დაასახიჩრეს და გაუპატიურებით ემუქრებიან. ინფორმაციას პატიმრის ადვოკატები ავრცელებენ.

32 წლის ქუთაისელი ანტონ ჭელიძის უფლებადამცველებმა ბრიფინგზე იმ პრობლემებზე ისაუბრეს, რაც ქართველ პატიმარს აქვს. მათი ინფორმაციით, პატიმარს იმ დანაშაულის აღიარებას თხოვენ, რაც არ ჩაუდენია, სასჯელად კი აწამებენ.

„ევროპის ცენტრში, იტალიაში ქურდობის მცდელობის ბრალდებით 2018 წელს ანტონ ჭელიძე დააკავეს. დაკავება ძალის გადამეტებით მოხდა და ორივე მხარემ დაზიანება მიიღო. იმის გამო, რომ არ აღიარა დანაშაული. უთხრეს, რომ დაისჯებოდა. გადაიყვანეს იზოლატორში, მოხდა წამება, შემდეგ ფლორენციის ციხეში სექსუალური უმცირესობების საკანში მოათავსეს და ეს გამოიყენეს სასჯელად. შელახეს მისი ღირსება. ის მზად არის ნებისმიერი სამართლიანი სასჯელისთვის, ოღონდ ღირსება დაიცვას. არაადამიანური წამების მსხვერპლია არაბული წარმომავლობის პატიმრებისგან და ციხის თანამშრომლებისგან. სხეულზე აქვს დაზიანებები, თვითმკვლელობა სცადა. ყველას ვალდებულებაა, დავიცვათ უდანაშაულო ადამიანი,“ — განაცხადა ადვოკატმა ლედი ტუკვაძემ.

პატიმრის უფლებას ასევე „ემიგრაციის საერთაშორისო ცენტრის“ ადვოკატი მარი ლევიძე იცავს. ადვოკატების თქმით, საქმის შესახებ ინფორმირებულია საგარეო საქმეთა სამინისტრო, პრეზიდენტის ადმინისტრაცია და საპარლამენტო მდივანი. ისინი მოუწოდებენ უწყებებს, დროულად მოხდეს თემით დაინტერესება და ჩაერიონ, რომ შეწყდეს პატიმრის წამება.

◎ რა იძნება ხვალ?

ბარსელონაში თავშესაფრის მაძიებლები შენობიდან გამოასახლეს

ბარსელონაში, მიტოვებულ სკოლაში შესახლებული საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც ესპანეთისგან თავშესაფარს ითხოვენ, 29 მაისს გამოასახლეს. 11- მა ოჯახმა, მათ შორის არასრულწლოვნებმა, წუხანდელი ღამე ბარსელონაში, ერთ-ერთ ჰოსტელში გაათენეს. ჰოტელში, ერთი ღამით შესახლება მათ მას შემდეგ შეძლეს, რაც საქმეში ბარსელონაში საქართველოს კონსული ქეთევან გოგოლაშვილი ჩაერთო.

ქეთევან გოგოლაშვილი რადიო „თავისუფლებასთან“ საუბრისას ამბობს, რომ ესპანეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების ბედი ამ ეტაპზე გაურკვეველია, რადგან ესპანეთის ხელისუფლებას საკმაოდ ხისტი პოზიცია აქვს თავშესაფრის მაძიებელთა მიმართ:

„შეიძლება ითქვას, რომ ღია ცის ქვეშ არიან დარჩენილები. ჯამში 37 მოქალაქეზეა ლაპარაკი, მათ შორის 19 არასრულწლოვანია. მათგან უმეტესობა თავშესაფრის მაძიებელია. მათ გასაუბრება ჩანიშნული აქვთ აგვისტოს ბოლოს, სექტემბრის დასაწყისში. შესაბამისად, ისინი ესპანეთის ტერიტორიას არ ტოვებენ. თუმცა, სად და როგორ გააგრძელებენ ცხოვრებას, ეს, ჯერჯერობით, გაურკვეველია. როგორც მათ სამართალდამცავებმა აუხსნეს, ისინი უნდა გადამისამართებულიყვნენ საემიგრაციო სამსახურში, საიდანაც მათ თავშესაფრებში გადაანაწილებდნენ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ სამსახურს არანაირად არ ეხება მათი თავშესაფრებში გადანაწილება. დახმარებაზე უარი თქვა წითელმა ჯვარმა და ქალაქის მმართველობამ. როდესაც შევხვდი ქალაქის მმართველობის წარმომადგენლებს, მათ განმიმარტეს, რომ ბარსელონა აღარ იღებს თავშესაფრის მაძიებლებს და ამოწურულია ყოველგვარი ფინანსური რესურსი. შეიძლება ითქვას, რომ ქალაქის მმართველობასთან საკმაოდ მძიმე და არასასიამოვნო საუბრის შემდეგ, ეს ადამიანები ერთი ღამით გადაიყვანეს ჰოსტელში. თუმცა, განგვიმარტეს, რომ ეს არის უკანასკნელი შემთხვევა, როდესაც ბარსელონა დათანხმდა ამ ხალხის ერთი ღამით განთავსებაზე. როგორ განვითარდება მოვლენები, ეს უკვე ძალიან ძნელი სათქმელია“.

ქეთევან გოგოლაშვილის თქმით, მისი ჩართულობა ამ პროცესში ქალაქის მმართველობისთვის ერთგვარ გაუგებრობას წარმოადგენს: **„ეს ადამიანები ბარსელონაში ჩამოსულები არიან თავშესაფრის საძიებლად. ჩემი ჩართულობა კი გამოდის, რომ მათ საქმეს უფუჭებს. ყველა მეკითხება, შენ რა უფლება გაქვს, კონსულს, სახელმწიფოს წარმომადგენელს, რომ მოდიხარ და იცავ იმ ხალხის უფლებებს, რომლებიც ამბობენ, რომ მათ ეშინიათ საკუთარი ქვეყნის და სხვა ქვეყანას სთხოვენ თავშესაფარს. შენ კი მოდიხარ და მათ უფლებებზე წარმოთქვამ პრეტენზიებს და ჩვენ, ესპანელებს გვეუბნები, რომ დავიცვათ მათი უფლებები. ე.ი. შენც, ანუ სახელმწიფოც და ეს ხალხიც იტყუება?“**

ქეთევან გოგოლაშვილის განმარტებით, გამოსახლებული მოქალაქეების უმეტესობა გასაუბრებას ელოდება და შესაბამისად, ითვლება, რომ ამ ეტაპზე, ისინი ქვეყანაში ლეგალურად იმყოფებიან და მათ აქვთ მომლოდინის საბუთი. თუმცა, მისი თქმით, თუკი აქამდე ესპანეთი გასაუბრების მომლოდინეებს აძლევდა გარკვეულ თანხას და დროებით თავშესაფარს, ამჟამად ქვეყანაში მსგავსი პროგრამა აღარ მოქმედებს.

4 აპრილს, ბარსელონაში, მიტოვებული სკოლის შენობაში ჩატარდა მასშტაბური სპეცოპერაცია. სპეცოპერაციის შედეგად დააკავეს საქართველოს 66 მოქალაქე. გარდა ამისა, ადმინისტრაციული წესით, საიმიგრაციო წესების დარღვევისთვის, დააკავეს საქართველოს 41 მოქალაქე.

მოქალაქეების ნაწილი მაშინ აცხადებდა, რომ ბოლო პერიოდში თავშესაფრის მიცემაზე ესპანეთის ხელისუფლება საქართველოს მოქალაქეებს უარს ეუბნება. ისინი ამ ფაქტს ესპანეთში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტს უკავშირებენ, რის შემდეგაც ესპანეთმა საქართველო უსაფრთხო ქვეყნად აღიარა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო „აბსურდულს“ უწოდებს სხვადასხვა მედიაში გავრცელებულ ცნობას, თითქოს საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტს რაიმე კავშირი ჰქონდეს ბარსელონაში ჩატარებულ სპეცოპერაციასთან.

ნინო თარხნიშვილი

◎ ჭადრაკი

ნანა დაუ შვიდიც სცვა

მსოფლიოს რვა საუკეთესო დიდოსტატი მანდილოსანი ითამაშებს ყაზანში დღეიდან 19 ივნისის ჩათვლით მოჭადრაკე ქალთა განახლებულ პრეტენდენტთა ტურნირში, რომლის საპრიზო ფონდია 200.000 ევრო.

მსოფლიოს ჩემპიონთან თამაშის უფლების მოსაპოვებლად იბრძოლებენ მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მარია მუზიჩუკი (უკრაინა, 2563), მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი კატერინა ლაგნო (რუსეთი, 2554), მსოფლიოს და ევროპის ექს-ჩემპიონი ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი, 2546), 2017 წლის მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ანა მუზიჩუკი (უკრაინა, 2539), რუსეთის ორგზის ჩემპიონი ალექსანდრა გორიაჩკინა (რუსეთი, 2522), მსოფლიოს ექს-ჩემპიონი თან ჩუნი (ჩინეთი, 2513), ევროპის 2017 წლის ჩემპიონი ნანა ძაგნიძე (საქართველო, 2510) და ევროპის სამგზის ჩემპიონი ვალენტინა გუნინა (რუსეთი, 2506). ისინი წრიული სისტემით ორ-ორჯერ დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. ასპარეზობის გამარჯვებული ტიტულისთვის მსოფლიოს ჩემპიონ ცზიუი ვენძიუნს (ჩინეთი) შეხვდება.

დღეს პირველ ტურში ითამაშებენ: ვალენტინა გუნინა – კატერინა ლაგნო, ალექსანდრა კოსტენიუკი – ალექსანდრა გორიაჩკინა, ნანა ძაგნიძე – თან ჩუნი, მარია მუზიჩუკი – ანა მუზიჩუკი.

ლექსო ცინცაძე

◎ ძალოსნობა

მსოფლიოზე – ოთხი სპორტსმენით

არჩილ მალაყმაძე (73 კგ), ლომია თებიძე (81 კგ), ირაკლი ჩხეიძე (102 კგ) და თორნიკე ტაბატაძე (+109 კგ) – აი, ასეთი შემადგენლობით იასპარეზებს საქართველოს ახალგაზრდა ძალოსანთა ნაკრები (მწვრთნელები – მალხაზ ლომთაძე, ზურაბ ანთაური, ექიმი გიორგი ჭინჭარაული) მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელიც 1-8 ივნისს ფიჯის დედაქალაქ სუვაში გაიმართება.

თამაზ პატარიძე

◎ ნდობა

ჩვენი კაცი უეფაში

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლევან კობიაშვილი უეფას ფეხბურთის კომიტეტის თავმჯდომარე გახდა. ინფორმაციას სფფ ავრცელებს.

„ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც საქართველოს წარმომადგენელი უეფას კომიტეტის ხელმძღვანელის პოსტს დაიკავებს. აღნიშნული კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ბულგარეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ბორისლავ მიხაილოვი იქნება, ხოლო ფეხბურთის კომიტეტის ვიცე-თავმჯდომარეები – პაველ ჩებანუ (მოლდოვა), დეიან სავიჩევიჩი (მონტენეგრო), ლუიშ ფიგუ (პორტუგალია) და დემეტრიო ალბერტინი (იტალია).

ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანო სულ 19 კომიტეტს და 6 ექსპერტთა საბჭოს აერთიანებს, ექვსი წარმომადგენელი კი საქართველოს პირველად ეყოლება“, – აღნიშნულია ფედერაციის განცხადებაში.

გეჟან დოლიძე

◎ ფეხბურთი

მოიგეს, მაგრამ მაინც მიდიან

ევროპა ლიგას 2013 წლის შემდეგ მეორედ მოიგო „ჩელსიმ“, თუმცა, გუნდის თავკაცი მაურისიო სარი და ლიდერი ედენ აზარი, დიდი ალბათობით, კლუბს მაინც დატოვებენ.

რანგით მეორე ევროტურნირის შედარებით ხანმოკლე ბიოგრაფიაში, ესპანელთა და პორტუგალიელთა შემდეგ, ერთი ქვეყნის წარმომადგენლებმა მესამედ აქციეს ფინალური მატჩი საშინაო საქმედ და ეს ბაქოს ოლიმპიურ სტადიონზე მოხდა, რომელმაც ლონდონურ დერბის უმასპინძლა.

„ჩელსი“ – „არსენალი“ 4:1
პირველი ტაიმი 0:0

გოლები: ჟირუ, პედრო, აზარი – 2 (1 – პენალტით); აივობი.

მართალია, ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის მოტივირებულად მებრძოლმა „მეთოფეებმა“ აქტიურად დაიწყეს შეხვედრა, მაგრამ მას შემდეგ, რაც იტალიელმა მსაჯმა ჯანლუკა როკიმ თვალი დახუჭა „არისტოკრატთა“ საჯარიმოში შექმნილ საპენალტო სიტუაციაზე, თითქოს ფეხები მოეკვეთათ და გულიც გაუტყდათ.

შედეგად, „ლურჯებმა“ მალევე მოიპოვეს უპირატესობა, თამაში მეტოქის ნახევარზე გადაიტანეს და ფეერიული მეორე ტაიმის ხარჯზე აპენინელ მწვრთნელს პირველი ტიტული მოუტანეს.

ტრადიციისამებრ, პარტნიორებს „სევილიაში“ ევროპა ლიგის სამგზის მომგები უნაი ემერის შეგირდთა შესამუსრავად ბელგიელი მოიერიშე ნახევარმცველი გაუძღვა, რომლის მაღალი კლასი და ინდივიდუალური ოსტატობა გადამწყვეტი აღმოჩნდა. ქებას იმსახურებს ოლივიე ჟირუც, რომელმაც ტურნირში გატანილ მე-11 ბურთს საგოლე გადაცემა და გამომუშავებულ თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმაც მიაყოლა.

გიორგი შოთაძე

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

„ბორჯღალოსნები“ - არგენტინაში

4 ივნისს არგენტინაში დაიწყება 20-წლამდელ მორაგბთა მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს ნაკრებიც ითამაშებს. ილია მაისურაძის ხელმძღვანელობით (მწვრთნელები – ლადო კილასონია, ზურაბ ამონაშვილი) ახალგაზრდა „ბორჯღალოსნები“ სამხრეთ ამერიკაში ასეთი შემადგენლობით გაემგზავრნენ: ნიკა ღვალაძე („გრენობლი“), ლუკა ჭელიძე („ტულონი“), ვანო კარკაძე („ორიაკი“), ლუკა ნიორაძე („ჯიქი“), გია ხარაიშვილი („რასინგ 92“), ზაურ თევდორაშვილი („ანგულემი“), ლუკა აზარიაშვილი („მონპელიე“), ლუკა გელაშვილი („არმია“), ვახტანგ ჯინჭარაძე („ჯიქი“), ტატო გვიმრაძე („ხვამლი“), პაატა ბურჭულაძე („ხარები“), ბექა ყორიაული („ლელო“), კობა კოლოტაური („ლელო“), იოსებ გუშარაშვილი („ყოჩები“), იოანე იაშაღაშვილი („არმაზი“), მიხეილ ალანია („არმაზი“), გიორგი მარგალიტაძე („ლელო“), თედო აბჟანდაძე („აია“, კაპ,), სანდრო მარგიანი („აკადემია“), ლაშა ლომიძე („აია“), ირაკლი სიმსივე („აია“), გივი ცინცაძე („არმაზი“), დემურ თაფლაძე („ლელო“), ოთარ ლაშხი („ლელო“), ზურაბ ქავთარაძე („ხარები“), კოტე მარჯანიშვილი („არმაზი“), დაჩი პაპუნაშვილი („არმია“), თემურ ჭიჭინაძე („ჯიქი“).

ქართველმა მორაგბეებმა უკვე რამდენიმე წვრთნა ჩაატარეს. მსოფლიოს პირველობაზე პირველ მატჩს ისინი 4 ივნისს ახალ ზელანდიასთან გამართავენ, ჯგუფური ეტაპის მომდევნო პაექრობები კი სამხრეთ აფრიკასა და შოტლანდიასთან, შესაბამისად, 8 და 12 ივნისს არის დაგეგმილი. ჩვენი ბიჭები შარშანდელი შედეგის – მე-9 ადგილის გასაუმჯობესებლად იბრძოლებენ.

გივი გაგუა

◎ ხელბურთი

ერთა ჩემპიონატს თბილისი უმასპინძლებს

12 ქვეყნის წარმომადგენლები მოიყრიან თავს თბილისის სპორტის სასახლეში, სადაც 8-16 ივნისს ხელბურთელ ვაჟთა IHF-ის ერთა ჩემპიონატი გაიმართება. მოასპარეზენი წილისყრით ორ ჯგუფში გადანაწილდნენ:

A ჯგუფი: ჩინეთი, აზერბაიჯანი, ბრიტანეთი, კუბა, კოლუმბია, ინდოეთი.

B ჯგუფი: ბულგარეთი, **საქართველო,** ირლანდია, აშშ, მალტა, ნიგერია.

ჯგუფური ეტაპი 8-13 ივნისს გაიმართება. საქართველოს ნაკრების სათამაშო დღეებია: **8 ივნისი:** საქართველო – ნიგერია, **9 ივნისი:** საქართველო – მალტა, **10 ივნისი:** საქართველო – ირლანდია, **12 ივნისი:** საქართველო – აშშ, **13 ივნისი:** საქართველო – ბულგარეთი.

ჯგუფების 2-2 საუკეთესო მედლებისთვის პაექრობას განაგრძობს. ნახევარფინალები 15, ფინალები კი 16 ივნისს მოეწყობა. ტურნირის მონაწილე 6 ევროპული გუნდიდან საუკეთესო შედეგის მქონე ევრო 2022-ის შესარჩევი ტურნირის მეორე ეტაპის – პლეიოფის საგზურს დაიმსახურებს. **საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ნაკრებს 2 ივნისიდან ამ ჩემპიონატისთვის 40 წლის სერბი მწვრთნელი ნიკოლა მაქსიმოვიჩი მოამზადებს. იგი ბელგრადის „ცრვენა ზვეზდაში“ თამაშობდა, შემდეგ სერბეთის 18 და 20-წლამდელთა, ასევე, ისრაელის 16-წლამდელთა ნაკრებებს წვრთნიდა, ხოლო 2014 წლიდან თელ ავივის „მაქაბიში“ მუშაობს. ბოლო ოთხ წელიწადში მისი ხელმძღვანელობით კლუბმა ერთხელ ისრაელის ჩემპიონობა მოიპოვა, ორჯერ კი ფინალში ითამაშა.**

ლაშა დიდია

◎ ვითარება

ვალი - 35 მილიონი

ესპანურმა პრესამ გაარკვია, რატომ სურს მადრიდის „რეალის“ დატოვება მის კაპიტან სერხიო რამოსს. საქმე ფეხბურთელის ფინანსურ პრობლემებშია. რამოსს ჩინეთში გადასვლა სარფიანი კონტრაქტის მისაღებად სურს, რის შედეგადაც საკუთარ მატერიალურ მდგომარეობას გაიუმჯობესებს.

ფეხბურთელს ბანკ „სანტანდერთან“ 35 მილიონი ევროს ოდენობის ვალი დაუგროვდა და ბანკს ამ ფულის დაბრუნება სურს. 33 წლის რამოსმა მადრიდში მიწა შეიძინა, რომელზეც საცხოვრებელი სახლების აშენება სურდა, მაგრამ ქალაქის მთავრობისგან უარი მიიღო და გეგმის რეალიზება ვერ შეძლო. ამის შემდეგ მან კრედიტის დაბრუნება ვერ მოახერხა.

ამჟამად ესპანელი მოლაპარაკებებს აწარმოებს ბანკთან ვალის გადახდაზე. არსებობს ვარიანტი, რომ ის დააბრუნებს შეძენილ მიწას, თუმცა, თავად ფეხბურთელს ურჩევნია, კრედიტორები ჩინეთში გამომუშავებული ფულით გაისტუმროს.

ვიტალი ჯაფარიძე

სევერიან (ზურაბ) წაქაძის მოგონება

თსუ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტმა მძიმე დანაკლისი განიცადა, ა.წ. 23 აპრილს მოულოდნელად გარდაიცვალა ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი **სევერიან (ზურაბ) წაქაძე.** ინსტიტუტისთვის მეტად მძიმეა ყოველი ადამიანის დაკარგვა, მით უმეტეს ისეთი მკვლევარისა, როგორიც ზურაბი იყო.

სევერიან წაქაძემ ჯერ კიდევ 26 წლის ასაკში მიიპყრო ფართო საზოგადოების ყურადღება, როდესაც ასტრონომიული ობიექტების - პულსარების ყოფაქცევის სიმულაცია შესძლო ლაბორატორიულ პირობებში. ამ სამუშაომ იმთავითვე მიიპყრო მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოების ყურადღება. ამერიკელი ფიზიკოსები, ორგზის ნობელის პრემიის ლაურეატი ჯონ ბარდინი და პროფესორი დევიდ პაინსი წაქაძის ექსპერიმენტებზე თავის გამოხმაურებაში წერდნენ, რომ „როცა პულსარების თეორია ჯერ კიდევ არაა შექმნილი, თხევადი ჰელიუმის გამოყენებით ლაბორატორიულ პირობებში ჩატარებული მსგავსი ექსპერიმენტები ხელს შეუწყობს პულსარების სრულფასოვანი თეორიიის ჩამოყალიბებას.“

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამ წარმატებისთვის ბატონი სევერიანი დაიბადა საჭირო დროს (1947 წლის 5 დეკემბერს) და საჭირო ადგილას (თვალსაჩინო მკვლევარ-ექსპერიმენტატორის ჯელილ წაქაძის ოჯახში), ისე რომ, მისი ზრდა-განვითარება და ქართული ექსპერიმენტული ფიზიკის აღზევება, რაც ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელთან არის დაკავშირებული, თითქმის ერთიდაიგივე დროს განხორციელდა. ამ დროს შეიქმნა დაბალი ტემპერატურების ფიზიკის განყოფილებაც, რომლის ერთერთი ლიდერი და ხელმძღვანელი ბატონი ჯელილი იყო. ვერავინ უარყოფს ახალგაზრდა სევერიანის, როგორც საქმისთვის თავდადებული მამის თანამოაზრე თანამშრომლის როლს ამ განყოფილების მშენებლობაში, მაგრამ იმ დიდებულ ექპერიმენტამდე კიდევ წლებია გასავლელი, სანამ არ შეიქმნება ნეიტრონული ვარსკვლავის ხელოვნური მოდელი ზედენადობის ლაბორატორიაში.

სევერიან წაქაძე ამ პერიოდისთვის ასრულებს სწავლის კურსს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე ექსპერიმენტული ფიზიკის განხრით (1966-1971 წ.წ.) და საბოლოოდ მკვიდრდება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტში. სადიპლომო ნაშრომი მან სწორედ ნეიტრონული ვარსკვლავის ლაბორატორიული მოდელის შექმნას მიუძღვნა.

1974-1975 წლებში სევერიან წაქაძე მივლინებული იყო აკადემიკოს პეტრე კაპიცას ფიზიკური პრობლემების ინსტიტუტში მეორე ბგერის მეთოდიკის ასათვისებლად (თავის დროზე ამ ინსტიტუტში ჩატარდა მსოფლიოში აღიარებული „ანდრონიკაშვილის ექსპერიმენტი“!). 1981 წელს სევერიან წაქაძემ, როგორც ახალგაზრდა მეცნიერმა, საქართველოს კომკავშირის პრემია დაიმსახურა შრომათა ციკლისათვის: „ ჰელიუმ-II არათანაბარი ბრუნვის ზოგიერთი თავისებურებანი და მსგავსი მოვლენები პულსარებში“.

მეტად საინტერესოა სევერიან წაქაძის ბიოგრაფიის ის ნაწილიც, რომელიც ბოლო 30 წელიწადს შეიცავს, თუმცა, არცთუ იოლად გადასატანიც. ეპოქალურმა ცვლილებებმა მისთვის დამახასიათებელი კრიზისული სიტუაციები წარმოქმნა ქვეყანაში და, რა თქმა უნდა, ქვეყნის სამეცნიერო სფეროშიც. სირთულეებთან გამკვლავებამ და მათი უარყოფითი ზეგავლენის გაუვნებლებისთვის ბრძოლამ შეიწირა დიდი დრო და, სამწუხაროდ, ცხოვრებისეული რესურსიც. პარალელურად დამკვიდრდა ყოველთვის არცთუ სრულყოფილი ადგილობრივი თუ საზღვარგარეთული გრანტების სისტემა მეცნიერების მართვისა თუ რეგულაციების საქმეში. ყოველივე ამას საერთო საინსტიტუტო პასუხისმგებლობასთან ერთად უნდა გაეზარდა ინდივიდის, მეცნიერების ყოველი შემომქმედი მსახურის პასუხისმგებლობა. თუმცა, სევერიან წაქაძეს ასეთი დიდაქტიკური აქსიომების შთაგონება არ სჭირდებოდა. აი, მისი ცხოვრების კრედო, რომელიც კარიერის დასაწყისში იყო გაცხადებული: „დღეს ფიზიკაში ვუნდერკინდები არ იბადებიან. მე ვფიქრობ, ნიჭი მხოლოდ ერთ-ერთი პირობაა. უმნიშვნელოვანესია შრომისუნარიანობა, თავის თავზე მუშაობა, – მხოლოდ ამის შემდეგ შლის ფრთებს ადამიანის შესაძლებლობანი, მისი ნიჭი და უნარი.“

1990-1992 წლებში სევერიან წაქაძე ჰელსინკის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტშია მიწვეული და თანამშრომლობს პროფესორ მ. კრუზიუსთან საერთაშორისო პროექტის ფარგლებში. 1998 წელს – გრენობლში და **CNRS** ცენტრის მესვეურებთან (პროფესორი ი. ვაგნერი) გეგმავენ მომავალი თანამშრომლობის გრაფიკს. 1999-2001 წლებში სევერიან წაქაძე იერუსალიმის უნივერსიტეტშია იგივე სტატუსით და მონაწილეობს პროფესორ უ. გლაბერსონთან საერთო სამუშაოებში. 1995 წელს პარალელურად მუშაობას იწყებს ე. ხარაძის სახელობის აბასთუმნის ობსერვატორიის ქალაქის ლაბორატორიაში, რაც უკვე მბრუნავ „თხელ“ წყალში მსხვილმასშტაბოვანი გრიგალური სტრუქტურების („როსბის გრიგალების“) კვლევასთან იყო დაკავშირებული.

ამ საუკუნის თითქმის ერთ დეკადაში (2006-2017 წ.წ.) შესრულდა ის სამუშაოები, რომელიც შვიდ საერთაშორისო თუ ადგილობრივ პროექტშია გაწერილი. მიუხედავად იმისა, რომ ეს პროექტები მყარი სხეულებისა და კვანტური სითხეების ფიზიკის მკვეთრად განსხვავებულ მიმართულებებს ეძღვნებოდა, სევერიან წაქაძე იყო მათი ხელმძღვანელი ან ძირითადი შემსრულებელი. ყოველივე ეს თვალნათლივ მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად ფართო დიაპაზონის და უნივერსალური კვალიფიკაციის ექსპერიმენტატორი იყო ბატონი სევერიანი. ამიტომაც, მას დაეკისრა ფიზიკის ინსტიტუტის მიერ შეძენილი უახლესი სამეცნიერო აპარატურის ბაზაზე მასალათა სტრუქტურული და სპექტროსკოპიული კვლევების ახალი ლაბორატორიის ჩამოყალიბება, საქმე, რომელსაც ზურაბი სიცოცხლის ბოლო დღემდე დიდი ენთუზიაზმით ემსახურებოდა.

ჩვენგან წავიდა მეგობარი, მკვლევარი, მეცნიერი და დაგვიტოვა უზომო სიცარიელის გრძნობა, რომელიც მუდამ თან ახლავს წესიერი, მცოდნე და საქმისადმი ერთგული ადამიანის წასვლას ამა ქვეყნიდან.

სევერიან წაქაძის სახელი სამუდამოდ დარჩება ე. ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის ოქროს ფონდში.

გ. ჯაფარიძე,
ზ. როსტომაშვილი,
ვ. კვაჭაძე, ა. შენგელაია,
დ. დრიაევი

ვასილ ბერიძის ხსოვნა

29 მაისს 66 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა **ვასილ ბერიძე,** ყველასათვის საყვარელი და პატივსაცემი პიროვნება, პროფესიონალი ენერგეტიკოსი, 2015 წლიდან დამსახურებული ინჟინერ-ენერგეტიკოსი, თავისი საქმის დიდი მცოდნე და მოყვარული.

ვასილ ბერიძე დაიბადა ბორჯომის რაიონის სოფ.ჭიხარულაში 1953 წლის 7 აპრილს. საშუალო სკოლა ბორჯომში დაამთავრა. სამხედრო სამსახურის გავლის შემდეგ სწავლობდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკულ ფაკულტეტზე ელექტროქსელებისა და სისტემების სპეციალობით, რომლის სრული კურსი დაამთავრა 1983 წელს. იმავე წელს დაიწყო მუშაობა საქმთავარენერგოს სისტემაში, კერძოდ, საქენერგოგაწყობაში ინჟინრის თანამდებობაზე, იქ მუშაობდა 1995 წლამდე და განვლო გზა ლაბორატორიის უფროსის თანამდებობამდე.

1995-1998 წლებში სს „ელექტროგადაცემის“ ელექტროსაამქროს მთავარი სპეციალისტია. 1998-2000 წლებში სს „ელექტროსისტემის“ ელ.ლაბორატორიის უფროსის მოადგილეა. 2000-20007 წლებში შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ტესტირებისა და დიაგნოსტიკის განყოფილების უფროსის თანამდებობას იკავებდა. 2008 წლიდან 2018 წლამდე მუშაობდა შპს „ელ ინდასტრი ჯორჯიას“ ელ.ლაბორატორიის უფროსად.

2018 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე იყო შპს „სკაი გრუპის“ ენერგეტიკული მიმართულების მენეჯერი. ვასილ ბერიძე გახლდათ კარგი მეუღლე, მზრუნველი მამა და ერთგული მეგობარი. თავის სპეციალობაზე უზომოდ შეყვარებული, ასევე ახალგაზრდა თაობის კარგი მასწავლებელი.

მისმა გარდაცვალებამ ერთნაირად დასწყვიტა გული მის ოჯახს, შპს „ელ ინდასტრი ჯორჯიას“ თანამშრომლებს და ყველა მეგობარს, რომელთანაც მას ჰქონდა ურთიერთობა თავისი სიცოცხლის მანძილზე.

ვასილ ბერიძის ხსოვნა მუდამ დარჩება ჩვენს მეხსიერებაში.

შპს „ელ ინდასტრი ჯორჯიას“ კოლექტივი

შპს „ელ ინდასტრი ჯორჯიას“ კოლექტივის წევრები და მისი უახლოესი მეგობრები ემზარ ჩაჩხიანი, ომარ ხელაძე, მანანა ხიზანიშვილი, ზაზა კერვალიძე, ოლიკო და მერაბ რამიშვილები, ლევან მაისურაძე, მარინა ფაილოძე, ლიანა ერაძე, მურადი თარგამაძე, დავით ჭკუასელი, ჯემალ ხითარიშვილი, ჯაბა ხურცილავა, ვალერი და ველოდი ეზუგბაიები, შუქრი ცხვედიანი, ვიქტორ მამონტოვი, ნუკრი ყანდინაშვილი, აკაკი ვაჭარაძე, დავით გვენეტაძე, ლელა მარგიანი, თამარ გოტიშვილი, ნინო და მერაბ შაბურიშვილები, ოთარ გოგიჩაძე, ლედი ქუცნაშვილი, თემურ ჩანადირი, ილია და დავით ლალიაშვილები, ივანე ღაჭავა, მერაბ ზურაბიშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვასილ ბერიძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ლალი ჩხეიძე, გივი ჯაფარიძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უახლოესი ნათესავი, უკეთილშობილესი პიროვნება, რაჭის დიდი პატრიოტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თემურ პეტრიაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ჯაფარიძეების საგვარეულო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა რაჭის დიდი პატრიოტი, ღირსეული მამულიშვილი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თემურ პეტრიაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.



უახლოესი მეგობრები **ბონდო ჯიძია, გურამ გუნავა, იგორ ქობალია, ლერი ჭითანავა, კლიმენტი კიკალიშვილი, დემურ ჭანტურია, ირვერ ჯალაღონია, გული აგუმავა, ემზარ კვარაცხელია, ზაირა ქადარია, გურამ თოლორაია, იანურ მესხი, მურთაზ ფაცაცია, გურამ აფაძიძე, ვაჟა ფიფია** მწუხარებით იუწყებიან, რომ 83 წლის ასაკში გარდაიცვალა აღიარებული და სამაგალითო ყოფილი სამეურნეო ხელმძღვანელი-მუშაკი, დამსახურებული ეკონომისტ-ფინანსისტი, ყველასათვის საყვარელი პიროვნება, უზადო მეგობარი

აკაკი (კაკო) წყაროზია

და დიდ მწუხარებაში თანაუგრძნობენ მის საყვარელ ოჯახის წევრებს, ახლო ნათესავებს, მეზობლებს, მეგობრებს.

უფალმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს!

ჩემი მეგობარი ჯეირან კიკრიაშვილი

ჩვენ, ორივე შვილმკვდარი მამები ვართ, შვილებს დავტირიოდით და მთელი შემართებით სტალინს გავიძახოდით.

1988 წელს ძირმომპალი ხრუშოვ-გორბაჩოვის მიერ შეურაცხყოფილი მუშათა კლასის, გამარჯვების გვირგვინდადგმულ წითელ არმიას და კომუნისტურ პარტიას, რომელსაც ძირი ეთხრებოდა და ქვეყანა შიმშილსა და ქაოსში ეხვეოდა, მოსკოვიდან ახლად ჩამოსულ დიდ ქართველს, გენერალ-ლეიტენანტ ირაკლი ჯორჯაძეს, განთქმულს თავისი მაღალნიჭიერებითა და სტალინზე უდიდესი სიყვარულის გამომჟღავნებით, დიდი ენთუზიაზმით და ნდობის გამოცხადებით შემოვეხვიეთ და ერთგულება გამოვუცხადეთ ბელადის სიყვარულის მხარდაჭერაში.

1988 წლის 21 დეკემბერს (სტალინის დაბადების დღეს) ქ. გორში ხალხმრავალ ყრილობაზე დავაფუძნეთ პოლიტიკური ორგანიზაცია „სტალინი“ . ბატონ ირაკლი ჯორჯაძეს გამორჩეულად უყვარდა ძალზე გამორჩეული მებრძოლი, შესანიშნავი ორატორი და ორიგინალური აზროვნების შემტევი ახალგაზრდა კაცი ჯეირან კიკრიაშვილი.

ბატონი კარლო გარდაფხაძე, ჯეირან კიკრიაშვილი, ვანო წიკლაური და მე მოადგილეებად აგვირჩიეს, ხოლო ირაკლი ჩვენი თავჯდომარე გახლდათ. არსებულ ცენტრალურ კომიტეტთან (პირველი მდივანი გუმბერიძე) ცხარე ბრძოლებში ჩავებით, ვიბრძოდით ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ, რომელიც ბეჭებზე ჰყავდათ გაკრული არაფორმალებს, ასევე ვებრძოდთ არაფორმალებს ბატონ ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ.

როგორც ყოველთვის ძალადაკარგული კომპარტია, არაფორმალების გვერდზე დადგა და დაიწყო მასობრივად პარტბილეთების დაწვა და პარტრაიკომებში ჩაბარება.

შეერთებული ძალებით, ერთიანი ძალა რომ მიიტანა უმაღლეს სასამართლოზე (გუმბარიძე და გამსახურდია) პოლიტიკური ორგანიზაცია „სტალინი“ მოიხსნა არჩევნებიდან, რასაც ხშირად სიამაყით აცხადებდა ბატონი ზვიად გამსახურდია.

ნელ-ნელა რღვევა დაიწყო პოლიტიკურმა ორგანიზაცია „სტალიმა“. მისმა ერთმა გამონაყოფმა ვაჟა-ფშაველა დაირქვა, მეორემ კი საქართველოს კომუნისტური პარტია აღადგინა.

მე და ჩემმა მეგობარმა ჯეირან კიკრიაშვილმა ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ რეგისტრაციაში გავატარეთ საერთაშორისო ორგანიზაცია „სტალინი“, რომელიც აგერ უკვე 40 წელია, საქმიანობს და გზიდან არ გადაგვიხვევია, გარდა იმისა, რომ ერთ არჩევნების პერიოდში ბლოკში გავერთიანდით პანტელეიმონ გიორგაძის პარტიასთან.

სადაც არ უნდა ვყოფილიყავით და ვისთანაც არ უნდა გავერთიანებულიყავით, მე და ჯეირანი ვიყავით სტალინის სახელთან და მის დიდებასთან დაკავშირებული მეგობრები, რომელმა მეგობრობამაც 40 წელიწადი გაძლო ისე, რომ ჩვენ ერთმანეთთან არც ერთ საკითზე კამათი არ გვქონია.

ჯეირანი იყო კაცი, კაცი რომელსაც ჰქონდა კაცური სიტყვა და ჰქონდა კაცური ოჯახი. ჩვენ ბევრი რამ დაგვიკლია ოჯახისთვის, მაგრამ არაფერი დაგვიკლია სტალინის სახელის უკვდავყოფისათვის.

2018 წელს, როდესაც ჯეირანი უცხოეთიდან ჩამოვიდა მხოლოდ და მხოლოდ სტალინის სახლ-მუზეუმის მოსანახულებლად თან მოიტანა სტალინის ბიუსტი თავის სადგამით და დადგა სწორედ იქ, სადაც აღმართული იყო სტალინის ძეგლი გორის ცენტრალურ მოედანზე. მიუხედავად მასმედიის მძლავრი შეტევისა, ჯეირანი არავის შეშინებია და მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, ფეხი არ მოეცვალა დანიშნული ადგილიდან, სანამდეც მოედანი ხალხისგან არ დაიცლებოდა.

ჯეირანი იმდენად პატივსაცემი, პატიოსანი კაცი იყო, რომ ადგილობრივმა სამართალდამცავებმაც თავი შეიკავეს ყბადაღებული და სულელური ქარტიის დებულებათა შესრულებისაგან.

ჯეირანი ის კაცი არ იყო, რომ ქართული ანდაზა ყურად არ ეღო: „ერთის შემხედავი წყალში ჩამხედავი“, მას უსაყვარლესი შვილის გარდაცვალების შემდეგ, კიდევ დარჩა ერთი ვაჟკაცი – კობა (რომელიც სტალინის სიყვარულით დაარქვა). კობა ღირსეულად უვლიდა თავისი ძმის საფლავს და ასევე უდიდესი პატივი მიაგო მამის სახელსაც და სამკურნალოდ უცხოეთის რამდენიმე სამკურნალო დაწესებულებაში წაყვანილი მამა შინ ცოცხალი ვეღარ დააბრუნა, მაგრამ ღირსეულად ჩამოასვენა 40 დღის წინ და საყვარელი შვილის გვერდით დაასაფლავა.

ჯეირან! შენით ხომ ვამაყობდი და ვამაყობა ახლაც, მაგრამ დღეიდან როგორც შენით, ისე შენი გმირი შვილით ვიამაყებ მამის ასეთი დაფასებისთვის და გთხოვთ, იმედიანად იყვეთ იქ, სადაც ხართ და არ გაიყოლო შენი მეუღლის დარდი, რომელიც ერთი წუთითაც არ მიგიტოვებია შენი სიცოცხლის განმავლობაში.

შენი კობა ღირსეულად მოუვლის, დააფასებს დედამისს ისე როგორც შენ, შენს ოჯახს და მის კაცობას შეეფერება.

გვიმძიმს უშენოდ ყოფნა.

შენი ძმა **გრიშა ონიანი**

არკადი ჯორბენაძის სახელობის კლინიკური პათოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ნანული გოგნიაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახს.

სასამართლომ მერაბ კვირიკაშვილი უდანაშაულოდ ცნო

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ მორაგბე მერაბ კვირიკაშვილი უდანაშაულოდ ცნო. სპორტსმენს მოეხსნა 15 000 ლარიანი გირაო. პროცესს ესწრებოდა თავად მერაბ კვირიკაშვილი.

შეგახსენებთ: ავარია 2016 წელს, ქუთაისის შემოვლით გზაზე მოხდა, რის შედეგადაც ოთხი ადამიანი გარდაიცვალა.

დიდ დიღომში არჩილ მეფის ქუჩის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

დიდ დიღომში, ერთ-ერთ ცენტრალურ, არჩილ მეფის ქუჩაზე სარეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში მოეწყობა ადაპტირებული ტროტუარი, სანიაღვრე ქსელი და ორი ფენა ასფალტის ახალი საფარი დაიგება.

ასევე, ბაღთან „ხუთკუნჭულა“ მისასვლელი გზა მოწესრიგდება. ჯამში, გზის საფარი 10 000 კვადრატულ მეტრ ფართობზე განახლდება. ამ დროისთვის კი, ბორდიურის და სანიაღვრე ქსელის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. სარეაბილიტაციო სამუშაოებს საბურთალოს რაიონის გამგებელი გაიოზ ვასაძე გაეცნო.

„ეს დიდ დიღომში ერთ-ერთი ცენტრალური ქუჩაა, რომელიც ძალიან დაზიანებული იყო. აღნიშნული ქუჩის სრული რეაბილიტაცია განხორციელდება, რაც ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ასევე, აქ არსებულ საბავშვო ბაღთან მისასვლელი გზა კეთილმოეწყობა. ბოდიშს ვუხდით მოსახლეობას სამუშაოების დროს შექმნილი დისკომფორტისთვის. პროექტის დასრულების შემდეგ კი,როგორც ფეხით მოსიარულეებისთვის, ასევე, ტრანსპორტისთვის გადაადგილება ბევრად კომფორტული გახდება“, – განაცხადა გაიოზ ვასაძემ.

პროექტის განსახორციელებლად ბიუჯეტიდან, დაახლოებით, 1 073 560 ლარი დაიხარჯება. სამუშაოებს საბურთალოს გამგეობის დაკვეთით კომპანია „ცეკური“ ასრულებს.

გლდანის რაიონში 10 მისამართზე ბავშვთა გასართობი ზონა მოეწყო

გლდანის რაიონში ინფრასტრუქტურული სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. 10 მისამართზე ბავშვთა გასართობი ზონების მოწყობა დასრულდა, კიდევ 11 მისამართზე კი იწყება.

გასართობი ზონები უკვე მოეწყო ზაჰესში, აფხაიძის №7-9 კორპუსების და ლიბანის №1 კორპუსის მიმდებარედ, გმირ კურსანტთა III შესახვევის №2-4, ბიჭვინთის №1-3-3ა, გლდანის მეექვსე მიკრორაიონის №22, მეორე მიკრორაიონის №46-47, მესამე მიკრორაიონის №82 და №86 კორპუსების მიმდებარედ. ასევე, ავჭალაში, კაჭარავას ქუჩა №37-ის და ბაღნარის №47 კორპუსის მიმდებარედ განხორციელდა.

ამასთან, სამუშაოების ფარგლებში, აღნიშნულ ზონებში სკვერისთვის საჭირო ინვენტარი განთავსდა. სამუშაოებზე, რომელიც შპს „ჩვენი ჯგუფის“ მიერ განხორციელდა, გლდანის რაიონის გამგეობისბიუჯეტიდან 95 278 ლარი დაიხარჯა.

90 წელი

გივი მინდელს ულოცავენ!

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები რევაზ თევზაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულია, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, როლანდ იოსელიანი, ჯუმბერ გონაშვილი, რევაზ არველაძე, გია მახარაძე, ომარ ცაავა, გია რამიშვილი, ვალერი ვარდოსანიძე და თამაზ გოგინაშვილი

დიდი მონატრებითა და სიყვარულით ულოცავენ დაბადებიდან 90 წლის საიუბილეო თარიღს (ა. წ. 3 ივნისს) ამავე საზოგადოების მთავარ დამფუძნებელსა და სულისჩამდგმელს, საქართველოს რესპუბლიკის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების ყოფილ პრეზიდენტს, საქართველოს მცირე ელექტრომანქანების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ყოფილ დირექტორს, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, ადამიანური სიკეთისა და კაცური სიყვარულის ტიპურ განსახიერებას, ჩვენი დედაქალაქის უსაყვარლეს კოლორიტ პიროვნებასა და ჭეშმარიტად დიდებულ მამულიშვილს, ბატონ

გივი მინდელს.

ყველაზე ორიგინალური მილოცვა

ფეისბუქმომხმარებელი შოთო სიხარულიძე სოციალურ ქსელში იმ ამბის შესახებ წერს, თუ როგორ მიულოცა შეყვარებულმა პატრულს დაბადების დღე:

„დაახლოებით 00:02 საათზე, მეგობრობის გამზირზე მოძრავმა „ტოიოტას“ მარკის ავტომობილის მძღოლმა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟს გაჩერება სთხოვა.

მას შემდეგ, რაც ავტომობილები გაჩერდნენ, „ტოიოტას“ მარკის ავტომანქანიდან ტორტით ხელში 2 გოგონა გადმოვიდა. ერთ-ერთმა გოგონამ პატრულის თანამშრომელს ტორტზე სანთლების ჩაქრობა სთხოვა და დაბადების დღე მიულოცა.

მოგვიანებით გაირკვა, რომ პატრულ-ინსპექტორს მოულოდნელი სიურპრიზი შეყვარებულმა მოუწყო. რამდენიმეწამიანი შეხვედრა მალევე დასრულდა და პატრულის თანამშრომელმა განაგრძო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება.“

რუსეთში ხიდი მოიპარეს

რუსეთში, მურმანსკის ოლქში, მდინარე უმბაზე გადებული ხიდი... დაიკარგა. აღნიშნულ ინფორმაციას რუსეთის შსს ავრცელებს. მათი ვერსიით, ბოროტმოქმედებმა ხიდი მოიპარეს. მათ შეგნებულად ჩაანგრიეს იგი და შემდეგ ნაწილებად დაშალეს.

ხიდის „გაქრობის“ ამბავი ადგილობრივმა მცხოვრებმა აღმოაჩინა. ამჟამად, სამართალდამცავები იკვლევენ, ვინ მოიპარა და ამჟამად ვის ეკუთვნოდა ხიდი. ქალაქ კიროვსკის ადმინისტრაციის განცხადებით, ხიდი მათ ბალანსზე არ ირიცხება. იგი გაუქმებული იყო და მისით არავინ სარგებლობდა. 2007 წლამდე მასზე სარკინიგზო მაგისტრალი გადიოდა, რომელიც შემდეგ დაშალეს.



ქართული ღვინო კრაკოვში

პოლონეთის ქალაქ კრაკოვში გამართულ ნატურალური ღვინოების პირველ ფესტივალზე ქართული ღვინო წარადგინეს. ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი ორგანიზაცია „ვინისფერას“ ხელმძღვანელმა მარიუშ კაპჩინსკიმ ფესტივალის ფარგლებში ღონისძიება „საქართველო, სადაც ყველაფერი დაიწყო“ გამართა, სადაც ქართული ქვევრის ღვინო იყო წარმოდგენილი.

ღონისძიებას ადგილობრივი სომელიეები, რესტორნის მეპატრონეები, ჟურნალისტები და ღვინის პროფესიონალები დაესწრნენ. მარიუშ კაპჩინსკი მათ ქართული ღვინის კულტურასა და ისტორიაზე, ქართული ვაზის ჯიშების მრავალფეროვნებაზე ესაუბრა. სტუმრებს შესაძლებლობა მიეცათ, სხვადასხვა ქართული ღვინო დაეგემოვნებინათ.

ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით პოლონეთი ქართული ღვინის სტრატეგიული ბაზარია, სადაც ქართული ღვინის პოპულარიზაციის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტო აქტიურ მარკეტინგულ ღონისძიებებს ახორციელებს. მიმდინარე წლის იანვარ-აპრილის მონაცემებით, პოლონეთი ექსპორტიორი ქვეყნების სიაში მეოთხე ადგილზეა. ამ პერიოდში საქართველოდან პოლონეთში ექსპორტირებულია 1,2 მლნ-მდე ბოთლი ღვინო, ზრდა გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 16%-ს აღწევს.

„მაგთიკომი“ კვლავ ლიდერია

საქართველოს მობილური ოპერატორების ბაზრის ლიდერი „მაგთიკომია“. როგორც კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის ანგარიშშია აღნიშნული, „მაგთიკომის“ წილი ბაზარზე გაიზარდა.

მობილური ოპერატორების საბაზრო წილი აბონენტების რაოდენობის მიხედვით, 2018 წლის ბოლოსთვის ასე განაწილდა: „მაგთიკომის“ საბაზრო წილი გაიზარდა და 40.3% შეადგინა, „სილქნეტი/ჯეოსელი“ – 35.8%, „ვიონი საქართველო“ – 23.9%.

2018 წელს, მობილური ოპერატორების საცალო შემოსავალმა 481 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2017 წელს მიღებულ საცალო შემოსავალზე 7.3%-ით (32.7 მლნ ლარით) მეტია. საცალო შემოსავლების თვალსაზრისით, „მაგთიკომის“ საბაზრო წილი 46.9%, „სილქნეტი/ჯეოსელის“ – 36.7%, ხოლო „ვიონი საქართველოს“ წილმა 16.4% შეადგინა.

საქართველოში მობილური მომსახურების ბაზარზე პენეტრაცია მაღალია და 143%-ს შეადგენს. კერძოდ, ერთ მომხმარებელს ერთზე მეტი მობილური ნომერი აქვს. რაც იმას ნიშნავს, რომ მომხმარებელმა ზუსტად იცის ბაზარზე არსებული ტარიფები და საჭიროების მიხედვით, სხვადასხვა მომსახურებაზე მათთვის ხელმისაწვდომ ქსელს იყენებს. მობილური აბონენტების რაოდენობამ 2018 წლის ბოლოს (IV კვარტალში) 5.3 მლნ აბონენტი შეადგინა. 2018 წლის ბოლო კვარტალში კორპორატიული აბონენტების რაოდენობამ მთლიანი აბონენტების 25% შეადგინა, რაც ჯამურად 1.333 მლნ აბონენტია.

ყველაზე სწრაფი

ჩინეთში მსოფლიოში ყველაზე სწრაფი მატარებლის ნიმუში წარადგინეს. ამის შესახებ გამოცემა Tech Explorist-ი წერს.

კონსტრუქტორების პროექტის მიხედვით, მატარებელი მაგნიტური ლევიტაციის საშუალებით გადაადგილდება და 600 კმ/



სთ სიჩქარეს განავითარებს. პირველი მატარებელი, რომელიც ჩინეთის სახელმწიფო რკინიგზის კორპორაციამ შექმნა, ქალაქ ცინდაოში აანწყვეს.

მატარებლის შემქმნელები ამბობენ, რომ პროექტის განხორციელება მოგზაურობაზე ადამიანების წარმოდგენას სრულად შეცვლის. მატარებლის ექსპლუატაციაში გაშვება 2021 წელს იგეგმება.მოქმედი ყველაზე სწრაფი ჩინური მატარებელი, რომელიც პეკინსა და შანხაის შორის დადის, 350 კმ/სთ სიჩქარეს ავითარებს. მისი ექსპლუატაცია 2017 წელს დაიწყო.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა. ჩიქოვანის (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოზულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.7997; ევრო - 3.1236;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5408;
100 რუბლი - 4.2985; თურქული ლირა - 0.4656;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6468;
1000 სომხური დრამი - 5.8388.

ამინდი 31 მაისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+12,	დღე	+31
მთიანი რაიონები -	ღამე	+7,	დღე	+30
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+14,	დღე	+32
მთიანი რაიონები -	ღამე	+10,	დღე	+31
თბილისი:	ღამე	+17,	დღე	+31

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge